“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№1 (317)
იანვარი
2025 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეშვიდე წელი "LITERATURULI MESKHETI"

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!”

რ. ერისთავი



ტიმოთესუბნის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი

***

საშველს რომ ადარ
მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: –

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს
თუ გიჭირს! –
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი
არსებობს ირგვლივ, –
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად –
ღალატიათ
მაგვარი
ფიქრი!

მუხრან მაჭავარიანი



„არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის, თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთის დედის – საქართველოს ოჯახის შვილნი?
თავადის აზრი – სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესინი ქართველები არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულისა ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური – თავადსა, ორივენი – გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითეულად ცალკე და ყოველნიენ ერთად ქართველი ჭგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო! ეგ თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჭგონია ვისმე!”

ილია

Stiuardesa Jana



გურამ ოდიშარია

1993-ის ოქტომბრის დასაწყისია.

თემური და დედამისი აფხაზ ნაცნობს გამოჰყავს სოხუმიდან.

„ფიატით“ მოდიან.

დედა-შვილი უკანა სავარძელზე ზის, წინ მათი აფხაზი ნაცნობი და მისი მეგობარი სხედან. მანქანას ნაცნობი მართავს. აფხაზი მათი მეზობელია, თემურის დედის ბავშვობის ამხანაგი, მისი მეგობარი კი უცნობია დედა-შვილისთვის.

ოთხი წლისაც არ იყო თემური, როდესაც ომი დაიწყო. ახლა ხუთისაა. მთელი ომის განმავლობაში სოხუმში იმყოფებოდა დედ-მამასთან ერთად. მამამისი იბრძოდა, რამდენიმე თვის წინათ მარტის ბრძოლებისას, გუმისთაზე დაიღუპა. ქმრის სიკვდილის შემდეგ თემურის დედამ მაინც არ დატოვა ქალაქი, არც თემური გახიზნა. არც მაშინ გაეცალა იქაურობას, როცა აფხაზური მხარე ქალაქს იპყრობდა, აქაოდა, ჩვენ ხელი რატომ უნდა გვახლონ, ჩვენ ხომ მშვიდობიანი მოსახლეობა ვართო. თუმცა აფრთხილებდნენ, შენი ქმარი იბრძოდა, დატოვე სახლიო.

როდესაც ზღვის სანაპიროზე, მათი სახლის სიახლოვეს, ღამით ვიღაც კაცი დახვრიტეს, შეძრწუნდა. შემდეგ ფანჯრიდან ქუჩაშიც მოჰკრა ცხედრებს თვალი, რამდენიმე სახლის დაწვასაც შეესწრო. მეზობელი ქალის შემწეობით სასწრაფოდ გამოძებნა ბავშვობის მეგობარი აფხაზი კაცი და შველა შესთხოვა.

აფხაზმა – ენგურით ვერ შევძლებ, შეევცდები, სოჭით გაგიყვანოთო, უთხრა.

და აი, რუსეთის საზღვრისკენ მიდიან. აფხაზი სამხედროა, მისი მეგობარიც. ორივენი სოხუმის აღებაში მონაწილეობდნენ. მათ მანქანას არავინ აჩერებს საკონტროლო პუნქტებში, თითქმის შეუფერხებლად მიიკვლევენ გზას – მათ შორიდანვე ცნობენ სამხედრო ფორმით, ორთავეს ავტომატები მანქანის კარებზე აქვთ მიყუდებული. მხოლოდ ერთ ადგილას შეამოწმეს. აფხაზმა თემურსა და დედამისზე მიუთითა, ესენი რუსები არიანო. თემურის დედა, მართლაც, ჩამოჰგავს რუსს.

დაუჯერეს.

აფხაზმა გააფრთხილა თემურის დედა, ქართულად სიტყვა არ დაძრათ, თორემ საქმეს გამირთულებთ, ვინმე გაიგებს თქვენს ქართულს და შენი ქმრის ამბავსაც გამოიკვლევენო.

ზის „ფიატში“ დედა-შვილი და რუსულად საუბრობს.

– თემო, ქართულად არ ილაპარაკო, დედა... გესმის, თემო, – ჩურჩულით ემუდარება დედა შვილს.

თემური დამჯერი ბიჭია. მართალია, კარგად არ ესმის, რატომ არ უნდა ილაპარაკოს ქართულად, მაგრამ გრძნობს, რომ ეს ასეა საჭირო.

მიუახლოვდნენ კიდეც საზღვარს. აქ უკანასკნელი პუნქტია, უამრავი ხალხი ირევა, უმეტესად – სამხედროები.

საბუთებს ითხოვენ.

– ჩვენი საბუთები სახლთან ერთად დაიწვა, ჩვენ რუსები ვართ, რუსები... – გაბზარული ხმით ეუბნება ჯარისკაცებს თემურის დედა და ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს. თანაც, ვითომ აქ არაფერიო, თემურს კარგა გვარიანად წამოზრდილ ქოჩორს უვარცხნის. თემური გრძნობს, როგორ უცახცახებს დედამისს თითები.

ჯარისკაცები ეჭვიანად აკვირდებიან.

– ჩემი მეზობლები არიან, რუსები, – გადმოდის მანქანიდან მათი ნაცნობი აფხაზი, – გაატარეთ...

– კარგი, – ეუბნებიან ისინი აფხაზს და დედა-შვილს შავგვრემან, ჩოფურა ჯარისკაცს აყოლებენ.

საზღვრამდე დაახლოებით ასი ნაბიჯია. ეს მანძილი გამყოლის თანხლებით უნდა გაიარონ, ასეა დაწესებული.

ასი ნაბიჯის შემდეგ სამშვიდობოა.

– ამ ჯარისკაცთან ფრთხილად იყავით, სიტყვა არ დაგცდეს ქართულად, – კიდევ ერთხელ ჩურჩულით აფრთხილებს თემურის დედას ნაცნობი აფხაზი და ემშვიდობება.

თემურის დედას გული ამოვარდნაზე აქვს.

– თემო... თემო... შენ ხომ გახსოვს სიმღერა – «Стюардесса по имени Жанна»? იმღერე, თემო, – ეუბნება თემურს დედამისი.

თემური მღერის:

– Ангел мой, не земной, ты повсюду со мной!..

სამნი მიდიან: თემური, დედამისი, გამყოლი.

არა და არ თავდება ის ასი ნაბიჯი. დედა თემურს ხელზე ხელს უჭერს.

თემური მღერის, თან გრძნობს დედის ხელის კანკალს.

საზღვრამდე სულ ცოტაა დარჩენილი.

უცებ გამყოლს უკნიდან ვიღაც უძახის. გამყოლი ჩერდება, მთელი ტანით შეტრიალდება და იმ ვიღაცას ხელით ანიშნებს – რა გინდაო.

დედა-შვილიც ჩერდება. ქალს მთელს სხეულში ელვასავით დაუვლის მხურვალება.

– თემო, იმღერე...

თემური განაგრძნობს სიმღერას. შემდეგ მთავრდება სიმღერა, მაგრამ თემური უმალ თავიდან იწყებს.

გამყოლს რაღაცას უყვირიან, გამყოლიც ხმამაღლა ეპასუხება.

შემდეგ ისევ მიდიან.

რამდენიმე ნაბიჯი და უკვე რუსეთში არიან.

გამყოლი უკან ბრუნდება.

თემური კი სიმღერას არ წყვეტს.

– თემო, გაჩერდი, გაჩერდი, თემო... სამშვიდობოს ვართ, – ეუბნება მას ატირებული დედა.

თემური მაინც მღერის.

– თემო, გაჩერდი, მიატოვე სიმღერა... უკვე ნურაფრის გეშინია...

– მე არ მეშინია, – ამბობს თემური და განაგრძობს სიმღერას.

აქვითინებული დედა მკერდში იკრავს შვილს.

თემური მღერის...

თემურის დედა ჩემი ნაცნობია, ერთ დროს ერთადაც ვმუშაობდით. ომის შემდეგ არ მინახავს. წლეულს, ზაფხულში, შემხვდა ტროლეიბუსში და ეს ამბავი მომიყვა.

მას შემდეგ, როგორც კი დედა-შვილი მომაგონდება, მყისვე ის ცნობილი რუსული სიმღერაც მახსენდება და ბიჭის წკრიალა ხმაც ჩამესმის;

– Ангел мой, не земной, ты повсюду со мной, Стюардесса по имени Жанна!..

„ბრონეგოინი“

„ბრონებოინი“ გულრიფშელი ბიჭია, ომის დროს იბრძოდა, ისე, იური ჰქვია. „ბრონებოინი“ კი მებრძოლებმა შეარქვეს, როგორც უშიშარ მეომარს. ზედმეტ სახელს დამსახურება უნდა, „ბრონებოინიც“ იურიზე ზედგამოჭრილია, ბრძოლებში მოიპოვაო, მითხრეს:

„ბრონებოინი“ წყნეთში გავიცანი, იქ ცხოვრობს ოჯახით, ერთ-ერთ კორპუსში. წყნეთში მას უმრავლესობა „ბრონებოინად“ იცნობს და მისი ნამდვილი სახელი არც იცის.

ოქტომბრის თბილი, მზის სხივებმოალერსე დღეა. მაგიდას ოთხნი ვუსხედვართ. ღვინოს ვსვამთ.

„ბრონებოინი“ ომის ამბებს იგონებს. მათ შორის ერთი გამორჩეულია. შევეცდები, შეძლებისდაგვარად, მოგიყვეთ:

1993 წლის იანვარი. გუმისთის ფრონტზე კანტიკუნტად ისვრიან, რამდენიმე თვეა, პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს. „სნაიპერების „დროა“. საათობით დადარაჯებული სნაიპერები მონინააღმდეგის სანგრებს სუნთქვაშეკრულები უთვალთვალებენ.

ირგვლივ მუხლამდე თოვლი დევს, ყინავს. ვისაც ომის ის ერთადერთი, ზღვისპირეთისთვის უჩვეულო ზამთარი აგონდება, მისი სიმკაცრეც კარგად ემახსოვრება. ზოგი ამბობდა, ომმა იცის ასეთი ზამთარიო, ზოგიც დიდთოვლობას „გრადებს“ აბრალებდა.

დილაა. „ბრონებოინი“ და მისი სამი თანამებრძოლი სანიტარული ნაწილისკენ მიდიან, ბზიფის გზატკეცილს მიუყვებიან. ისინი ორიოდე კილომეტრით არიან დაშორებულნი ფრონტის ხაზს. სნაიპერის ტყვია აქ უკვე საშიში არ არის.

აი, გამოჩნდა კიდეც სანიტარული ნაწილი.

და უცებ... ციდან უცხო ხმები გაისმის. მეომრები ჩერდებიან. ნაცრისფერ, მოქურუფებულ ცაზე ყივილით მოირწევა გედების სამკუთხედი.

გედები გადაუფრენენ ქართველთა პოზიციებს, მდინარეს და აფხაზთა მხარის სანგრებს უსწორდებიან.

მდინარის გაღმიდან ავტომატების აჩქარებული კაკანი იწყება – გედებს ესვრიან. გნიასით იშლება მათი სამკუთხედი. იფანტებიან გედები, მერე ისევ ქუჩდებიან და უკან ბრუნდებიან.

ისევ მდინარე, სანგრები...

ახლა მდინარის გამოღმა ხმიანებენ ავტომატები, უკვე ქართველთა სანგრებიდან მიფრინავს ტყვიები ცისკენ.

გედები კვლავ სასოწარკვეთილი ყივილით აწყდებიან გუმისთის გაღმა ნაწილს, ისევ ესვრიან...

კვლავ გამოღმა მოფრინავენ გედები. ისევ სროლები...

ასე გრძელდება რამდენჯერმე.

ავტომატების ხმები მოგუდულად ისმის – თოვლი ახშობს მათ.

„კალაშნიკოვების“ ტყვიები ვერ აღწევენ გედებამდე, არც ერთი მათგანი არ აკლდება ფრინველთა გუნდს.

ბოლოს, სანიტარული ნაწილისაკენ მოფრინავენ გედები.

– მე დამცადეთ, თქვენ არ გაისროლოთ! – ეუბნება „ბრონებოინი“ მეომრებს, ზურგით თოვლზე წვება, ორმოცდახუთტყვიან, „აკეესად“ წოდებულ მსუბუქ ტყვიამფრქვევს იმარჯვებს და გედებს მიზანში იღებს. ტყვიამფრქვევს ბევრად შორს მიაქვს ტყვია, ვიდრე „კალაშნიკოვს“.

იცლება მჭიდე. „ბრონებოინი“ ცვლის მჭიდეს და ისევ ცხრილავს გედების გუნდს.

მხოლოდ ერთი, ფრთაში დაჭრილი ფრინველი ტრიალ-ტრიალით, ცალი ფრთის ბათქუნით ეშვება დაბლა და სანიტარული ნაწილის ეზოში ეცემა.

გედების გუნდი კი უკვე ზღვისკენ იღებს გეზს.

მეომრები დაჭრილი ფრინველისკენ გარბიან.

ფრთებმოცახცახე გედი თოვლზე წევს, თოვლით ტოტებჩამონაბდულ ხეებს შორის, გრძელი, ერთიანად დაძაგრული კისერი განზე გადაუგდია, თვალებიდან ცრემლები სდის.

გედი თოვლივით თეთრია, თოვლი – გედივით ქათქათა. ორივე ცის ნაწილია, კუთვნილებაა ზეცის, და აი, ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ისინი აქ, მიწაზე, სისხლიანია გედი, თოვლიც სისხლიანი, კივის თოვლზე ორთქლამდინარე წითელი ფერი.

– შეხედეთ! – ყვირის ვიღაც და ყველა ცას აშტერდება.

ცაზე ერთადერთი გედი წრიალებს მხოლოდ, გედი, რომელიც არ გაჰყვა თავის გუნდს, ყივის, წრეებს უვლის სანიტარული ნაწილის ეზოს. წრიალებს გედი, წრიალებს, შემდეგ მოულოდნელად ფრთებს კეცავს, ქვასავით ეშვება დაბლა და თავით ენარცხება გზატკეცილს, სულს განუტევებს, დაჭრილი გედიდან სულ ოციოდე ნაბიჯის მოშორებით.

„ბრონებოინი“ წამოდგება, ტყვიამფრქვევს ხელს უჭერს, გაოგნებულია. უცებ სადღაც, ბავშვობაში გაგონილი ამბავი ახსენდება შეყვარებული გედის თვითმკვლელობაზე. ზღაპარი ეგონა...

გედების გუნდი კი უკვე ზღვის თავზე მიფრინავს, ჩამოდაბლებულ ღრუბლებში. კვლავ ქმნიან სამკუთხედს, მიჰყვებიან წინამძღოლს. ზღვაზე კი მხოლოდ ზღვაა, მეტი არაფერი. კაციშვილის ჭაჭანება არ არის იქ. შესაბამისად, არც ფრონტია და არც მისი ხაზი, არც სანგრები და არც სროლა. არავინ ჰკლავს არავის, ზღვაზე ზღვაა მხოლოდ, მხოლოდ გათოშილი ზღვის აზნექილ-ჩაზნექილი ზედაპირი, მეტი არაფერი.

ჯიუტი ერთგულებით მიფრინავენ გედები, შორდებიან ხმელეთს.

დაბლა კი, დაბლა, თოვლით განათებულ მიწაზე ყელს ჭრიან ჯერ ერთ, მერე მეორე გედს, შემდეგ კი წონიან ორთავეს. „ბრონებოინის“ გედი მამალი აღმოჩნდა, ოთხ კილოსა და ორას გრამს იწონის, მეორე გედი კი – დედალი, ექვსი კილო და ოთხასი გრამია. სანიტარული ნაწილის უფროსი „ბრონებოინის“ უმტკიცებს, რომ მათი სასწორი ზუსტია, არ ცდება.

ერთი გედი ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენს ეზოში ჩამოვარდაო, ითხოვენ სანიტარულ ნაწილში, შემდეგ ამატებენ, ჩვენმა დაშამ კარგი ხარჩოს გაკეთება იცის, რამდენი ხანია, ხორცი არ გვიჭამია, მოგვკლა თევზის კონსერვმა, იმასაც ორ კაცზე ერთ ცალს გვაძლევენო.

დედალი გედი კი მეომრებს თავიანთ ნაწილში მოაქვთ. სამხედრო დაჯგუფების მზარეული ფრინველს ოცდაშვიდ ტოლ ნაჭრად ანაწილებს და ტაფაზე წვავს – „ბრონებოინის“ ჯგუფი ოცდაშვიდკაციანია.

მხოლოდ „ბრონებოინი“ არ სადილობს იმ დღეს, თავის ულუფას მზარეულს უთმობს.

მაიმუნის ლიკვიდი

1994-ის ზამთარია. მეტროს ვაგონში ვსხედვართ, მატარებელი შუა გვირაბშია გახირული – გამორთულია შუქი და მის დაბრუნებას ველოდებით. ვიღაც სანთებელას ანთებს, ვაგონის ერთ კუთხეში მქრქალი, ყვითელი სინათლე იღვენთება.

ჩემს გვერდით ორი, ოციოდე წლის ბიჭი ზის. ერთი მეორეს უყვება:

– სოხუმის აღების შემდეგ ოჩამჩირეში გადაგვიყვანეს, ტამიშთან ვიბრძოდი. მაშინ ერთი მაიმუნი მყავდა, აი ამოდენა, – ხელებს შლის, – მხარზე მჯდომარე ღვედით დამყავდა, ადვილად მოვიშინაურე, ხილსაც ჭამდა, კაკალსაც, კამფეტსაც. ღამით ხის ტოტზე მივაბამდი ხოლმე, ხეზე ეძინა. ერთხელ, დილით გავიღვიძე და რას ვხედავ, ჩამოვარდნილა ხიდან ჩემი მაიმუნი და ღვედზე არ კონწიალობს?.. დამჩხავლა. აი, ასე ეკიდა.

გაღიმებული, ხელებგაფარჩხული მებრძოლი მაიმუნთსაშენიდან წამოყვანილი მაიმუნით ერთობოდა, სხვებსაც ამხიარულებდა. ბიჭის მიერ აღწერილი მაიმუნი ნამდვილად მაკაკა იყო.

მაკაკები პატარა, მოუსვენარი და მხიარული მაიმუნები არიან, თამაში უყვართ, მეტად მეტყველი თვალები და სახის მიმიკა აქვთ, უმალ ეჩვევიან ადამიანს, ვინ იცის, იქნებ, იმიტომაც, რომ ძალიან გვგვანან ჩვენ...

სანთებელა ქრება, შუქი იგვიანებს, ბნელა ვაგონში.

ბიჭები უკვე სხვა ამბებსაც უყვებიან ერთმანეთს, მე მათ არ ვუსმენ, თვალწინ ტყავის წვრილი ღვედით ხეზე ჩამოხრჩობილი მაიმუნი მიდგას. თითქოს ვხედავ კიდეც, როგორ ირხევა მისი გაშეშებული სხეული დილის ნიავში და უზომოდ გაოცებული, ბავშვური სახით, ღიად დარჩენილი თვალებით თითოეულ ჩვენგანს ეკითხება: ერთი მითხარით, ეს რა ხდება ჩემს თავს... ამიხსენით, ეს რა უცნაური რამ დამემართაო...

როდის-როდის მოდის შუქი და ამუშავდება მეტრო...

ლიანა ფარცვანია

დავიგვიანე

დავიგვიანე, ყველა გრძნობა გასხვისდა უკვე,
ჩემს წილ სიცოცხლეს წაეკიდა ბრიალა ალი,
მძინარეს ბედი საკმეველსაც უკუღმა უკმევს,
აღარ ადარდებს ფიქრებს, რომ ვარ მე სუსტი ქალი.

შემომაღამდა, შუა გზაში ვერ ვახელ თვალებს,
სიცარიელეს ვეღარ ვავსებ სულის გუბეში,
სტრიქონებშიც კი უიმედო მუზა ფართხალებს
და ქარიშხალი ლექსს იხუტებს მტვრიან უბეში.

სიცოცხლის წყურვილს ვაფერადებ სურვილის ფერში,
ქალის სამყარო უსასრულო ფიქრის წყაროა,
სიყვარულს აქსოვს ულამაზესს ის ყველაფერში
და მისი მუზის შთაგონება მზის სამყაროა.

დავიგვიანე, ვერ გიპოვეს ჩემმა თვალებმა,
გულმაც გეძება, დაიღალა სულის ფერებით,
მერე მუზამაც დაგივიწყა, განაწამებმა,
და ეს ცხოვრებაც გავაჯერე უცხო ბგერებით.

ერთი სიტყვა – „მიყვარხარო“ მთელ სამყაროს ათბობს

გამიხუნდა თვალის ფერი, შენ ხომ მწვანე გახსოვს,
რახანია ამ თვალებში ცივი სევდა მათოვს,
შემეფერა ვერცხლისფერად გიშრის შავი თმები,
გვირილამაც მიმკითხავა, რომ არ დაბრუნდები.

არ შეცვლილა ჩემი გული, დარჩა ყმაწვილ-ქალის,
სიზმარშიც სულ გნახულობდი მონატრებით მთვრალი,
ვაცილებდი წლებს და მერე, ვიშუშებდი ტკივილს,
აბა, ახლა რა აზრი აქვს მაბეზრებელ ჩივილს.

მერე, უფალს შევევედრე, – დამიფარე ღმერთო!
რა შევცოდე, რომ მიყვარდი? გულში ცეცხლი მენთო,
უპასუხო სიყვარულით დავფრინავდი ცაში,
ვერ გავბედე, ვერ გითხარი, რომ მიყვარდი მაშინ.

ნეტავ სად ხარ, ჩემო სუნთქვავ, ან ვის კერას ათბობ?
მე მიყვარხარ! შენ სიყვარულს ვერასოდეს დავთმობ,
ორ გულს ერთად დავატარებ, არ მამძიმებს, არა!
ვუფრთხილდები შენს ნაბიჯებს, დაგიდგები ფარად.

ბედნიერი მქვია ქალი, ვინ რა იცის, რა მკლავს,
ვეჭვიანობ იმ ჰაერზეც, შენს სხეულს რომ აკრავს,
მივეჩვიე უშენობას მარტოსული ქალი,
რა ვქნა, ისევ იმ წლებისკენ თუ გამირბის თვალი.

ვცხოვრობ სულის საზღაპრეთში, ვაიმედებ ფიქრებს,
სურვილების ლექსი როკავს, რიტმი ძალას იკრებს,
დავიღალე, უშენობის ნოსტალგია მიტევს,
ერთი სიტყვა – „მიყვარხარო!“ მთელ სამყაროს იტევს.

ვუძლებ უშენოდ

მარტოობასაც შევეჩვიე, ვსუნთქავ უშენოდ,
ამორძალ სულსაც ამოუშრა ცრემლი თვალებში,
ფიქრის ნაპრალებს ბარიკადები უნდა ვუშენო,
რომ აღარ ვიყო შეგრძნებებთან მუდმივ ვალებში.

თენდება მძიმედ,
დილა მზის სხივს მჩუქნის მთვარეულს,
სულის ჭურჭელში ფათიფუთობს მუზის ამალა,
მიფორიაქებს მონატრება ფიქრებს არეულს,
დრომ ჩემი სევდა წამწამებში ურცხვად დამალა.

ვუძლებ უშენოდ სულის გვემას მაჯებდაჭრილი,
არ შემიცოდოთ! მე უხელოდ დავწერ ლექსებსაც!
ნუ შემაწუხებს ო ღონდაც კი ღამის აჩრდილი,
შევეგუები აქ არსებულ ბრძოლის წესებსაც.

ვუძლებ უშენოდ უშენობას, შავი ქვრივივით,
მანდილზე ცრემლის ნაკვალევი ხატავს ფიგურებს,
ნიავი ზოგჯერ ჩაიქროლებს აშარ ქარივით
და ტკივიალიან თეთრ ღამეში იმედს მიპურებს.

ფარვანების ვალსი

ფარნის შუქზე ფარვანების თეთრი ვალსი,
სავსე მთვარის ვნებით მიბნედილი მზერა,
სასიკვდილო მონოლოგის ცეცხლის ალში,
წუხს პოეტის დათრგუნული გულის ძგერა.

დაწრეტილი სისხლის ბოლო თბილი წვეთი,
მუზის სულის ძლიერებას მკაცრად მალავს,
ანგელოზი მიაცილებს რითმებს მკვდრეთით,
სიბნელეში მთვარე ფრთხილად გზას უკვალავს.

გეფიქრება უსასრულოდ დაღლილ წამზე,
შენს არიას ახმოვანებს თეთრი გედი,
დილის სხივი აკიაფდა მოლის ნამზე,
როგორ ვერდიქტს გამომიტანს ნეტავ ბედი?..

ფარნის შუქზე ფარვანების მშვიდი ცეკვა,
შემოდგომის დეპრესიის მტკივან ფონზე,
ტაძრიდან კი ისევ ისმის ზარის რეკვა,
რაც ბოროტის ფიქრებს ფანტავს
სულის ფსონზე.

შენს თვალებს ვხატავ

უგონოდ მთვრალი დავბარბაცებ შენს თბილ სხეულში,
თან მუზის ფუნჯით თვალებს ვხატავ ლამაზს, ვნებიანს,
ბოლო წარწერა გავაკეთე ფიქრის რვეულში
და სურვილები შენთან ყოფნის გარეთ რჩებიან.

ზაფხულის ხვატი მთვრალ გონებას ადუნებს, თენთავს
(აქ შენი ქუჩის ყველა ძაღლი მეგობარია),
არ დამიჯერებ! ჩემი გული დღეს შენთვის ფეთქავს,
სიოც არ იძვრის, მაგრამ სულში დიდი ქარია.

მე ისევ მიყვარს ღამის ფიქრში ურყვნელი დარდი,
შენს რბილ სხეულში ბობოქარი ბინადრობს ქალი,
იყო დრო, ვიცი, ტკივილამდე ძლიერ გიყვარდი
და ღამღამობით ტყეში მწარედ მოსთქვამდა ალი.

უღონოდ მთვრალი დავბარბაცებ შენს სამყაროში,
მეჩვენება, რომ ახლა უკვე უნისლო მთა ვარ,
ყველა შეგრძნება გამეფანტა გარდასულ დროში
და გადაღლილი უტოტებო ღამაზ ხეს ვგავარ.

გიორგი მელიქიძე

მზე და ქარი

მზე გიცინის და ქარია,
შენ კი წევხარ ჰამაკში,
და ბავშვივით გიხარია
მათთან ერთად თამაში.

გაჰქრა იგი – ძველი ხანა,
ხანა ტანჯვის, წვალების,
მზემ, ქარმა არ დაახანა
შენი ფერისცვალების.

შენი გული ახლა სხვაა,
არ გაშინებს ტალღები,
სიხარულით სავსე ზღვაა,
გიღიმიან ბალღები.

ასეთია კაცის თვალი,
ქალს სიხარულს ანიჭებს,
ითვლის სახეშეუმკრთალი
შენგან გავლილ ნაბიჯებს.

ან როს გახვალ გარეთ მზეზე,
გზად თუ გხვდება ჩინარი,
არ ჩერდები, ხალხი გეძებს
და კითხულობს – ვინ არი?

„ფერით მზესა და ქარს მოჰყავს
სიხარულის შევსება,
ყველა გისმენს და შენს ლოყას
გზნება ეალერსება.“

გალაკტიონოლოგია

თუ გინდა სხვასაც გაუგო,
ნება შენია, დრო კია,
რომ გულის კარი გაუღო
გალაკტიონოლოგიას.

კვლავ ამას ვიტყვი, არ ვცდები,
ის არის ნაერთგულევი,
გელის ზღაპრული განცდები,
უანგარიშო, ულევი.

არის საგნები: ფიზიკა,
ქიმია, ბიოლოგია,
მაგრამ მე უფრო მიზიდავს
გალაკტიონოლოგია.

ბუხარში ვჩხრიკო ნაცარი,
არა ვარ, როგორც ზოგია,
მალე გაიგებთ რაც არი
გალაკტიონოლოგია.

სივრცეებს გადანახული
არავის დაუბლოკია,
მზე არის ჯერ არნახული
გალაკტიონოლოგია.

მისი დიდების ამბავი,
აქ სიყვარულად გვავლია,
რაც დარჩა დასასტამბავი,
რაც კიდევ შესასწავლია.

გამარჯვებული დროშაა,
ეს ჩემი მონოლოგია,
ქედს არ მოუხრის დრო-ჟამსა
გალაკტიონოლოგია.

***

სამშობლო, ენით უთქმელი,
უფლისგან დალოცვილია,
გალაკტიონი, რუსთველი,
ვაჟა, აკაკი, ილია.

მათი ნათელი სახელი
გულებში გადაზრდილია,
გალაკტიონი, რუსთველი,
ვაჟა, აკაკი, ილია.

ციხეა აუღებელი
და სააკვანე შვილია,
გალაკტიონი, რუსთველი,
ვაჟა, აკაკი, ილია.

სულ იამაყებს ქართველი,
გრძელდება ეს იდილია,
გალაკტიონი, რუსთველი,
ვაჟა, აკაკი, ილია.

ამბობს გალაკტიონი

„ზღვა წყნარია ნამეტანი,
თითქოს სძინავს.“
გ.ტაბიძე

ჩურჩულებენ ღამე მთანი,
უსმენს ზარი სიონის,
„ზღვა წყნარია ნამეტანი“ –
ამბობს გალაკტიონი.

მთვარე თითქოს გულს იქარვებს,
ჰქრიან ლაღად სიონი,
„და ნაპირზე გაშლილ კარვებს“ –
ხედავს გალაკტიონი.

ღრუბელი მზეს ეფარება,
ოხვრით მოჰქუხს რიონი,
„ალბათ ავდარს ეპირება,“ –
ფიქრობს გალაკტიონი.

არის ღელვა, გატაცება
ციხით კვლავ ბახტრიონის,
„ბავშვში არის აღტაცება“ –
ხვდება გალაკტიონი.

მიყვარს ღელვით გდება ყურის,
მღერა სელინ დიონის,
„ბადეს მოსდევს მებადური,“ –
ხედავს გალაკტიონი.

ჩურჩულებენ ღამე მთანი,
უსმენს ზარი სიონის,
„ზღვა წყნარია ნამეტანი“ –
ამბობს გალაკტიონი.

იქ პოეზია თუ არი

„ნეტავი იქ თეატრი არის?“
კახი კავსაძე

ვლოცულობ სიმწუხარეში,
ვკითხულობ, არ მსურს უარი,
იქ, იმ უდაბურ მხარეში,
იქ პოეზია თუ არი?

ავიტან ყოველგვარ ტკივილს,
ქუხდეს ხმა ზარის სიონის,
მჯეროდეს, იქაც გაჰკივის,
თავის ლექსს გალაკტიონი.

ისმოდეს, იქაც ისმოდეს,
შოთას ნათქვამი შაირი,
კვნესოდეს, გული კვნესოდეს,
ვით საკვნესარი დაირი.

მჯეროდეს, ოღონდ მჯეროდეს,
გავყვები ჩემს გზებს დაკლაკნილს,
მღეროდეს, იქაც მღეროდეს,
ვაჟა, ილია, აკაკი.

ვლოცულობ სიმწუხარეში,
ვკითხულობ, არ მსურს უარი,
იქ, იმ უდაბურ მხარეში,
იქ პოეზია თუ არი?

ლაშა გიორგის პოლიტიკური

ვახტანგ ინაური

ბეთანია. ლაშა-გიორგი

ლაშა გიორგის მეფობა, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერის მიუხედავად, რთული პერიოდი იყო, – დიდებული თამარ მეფისაგან მან არც თუ ისე სახარბიელო მემკვიდრეობა მიიღო. გარეშე მტრები კვლავ დიდ საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს. ამავე დროს, დიდებულების ხელში იყო სიმდიდრე და ძლიერება, რომელთა დამორჩილება და მეფისადმი დაქვემდებარება პრობლემა იყო სამეფო კარისთვის. ქვეყანას, ფაქტობრივად, ივანე ათაბაგი მართავდა. თამარის მეფობიდან – 1192-1193 წლიდან, თამარ მეფის წყალობით, იგი ათაბაგობის ახალ სტატუსს – სპასალარობის თანამდებობას იღებს და მეფის შემდეგ სახელმწიფო მართვის სადავეებთან დგას.

ლაშა გიორგის მეფობის პერიოდში მას მეფეზე მაღლა უჭირავს თავი, სამეფო კარზე მისი მომხრეები მძლავრობენ და მეფეს დირექტივებს აძლევს. ახალგაზრდა ლაშას კი არ შეეძლო მათთან დაპირისპირება. პოლიტიკური პრობლემიდან მომდინარეობს ლაშა გიორგის პირადული ცხოვრების სირთულეც – მას არ შეუძლია შეირთოს ქალი, რომელიც უყვარს. მატიანეები სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან მეფისა და მისი შეყვარებულის ურთიერთობის შესახებ, რაც იმას მოწმობს, რომ მეფის კომპრომეტირებას ცდილობენ. ამ აზრს სარწმუნოდ ხდის მისი მოულოდნელ და ბუნდოვან პირობებში გარდაცვალებაც.

ამდენად, ლაშა გიორგის პოლიტიკურ პრობლემას პირადულიც ემატება, რასაც მეფისთვის სავალალო შედეგი მოჰყვა. ლაშა გიორგიმ თამარისგან არც თუ სასურველი მემკვიდრეობა მიიღო, ძლიერი სამხედრო პოტენციალი, ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური ვითარება ისეთი აღარ იყო, როგორიც დედამისის მეფობის დასაწყისში და შემდგომ წლებში. ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობდა და სრულად ლაშას მეფობის დროს იჩინა თავი.

ქვეყნის ერთიანობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას ხელს უშლის შიდა დაპირისპირება, რომელიც გიორგი რუსისა და ყუთლუ-არსლანის მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებას მოჰყვა. პრობლემა მხოლოდ ის არ არის, რომ უბედური რუსის გამოსვლამ, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი გამოიწვია. ერთმანეთს შეებრძოლა ძირითადად დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები, რაც ძმათა მკვლელი ომი იყო. დაზარალდა საქართველო, დაიხოცნენ ორივე მხრიდან საუკეთესო მეომრები. ფაქტობრივად ორივე დაპირისპირებული ჯარი და სარდლობა საქართველოს წარმოადგენდა. სხვა საკითხია დემნა ბატონიშვილის გამო მოწყობილი შეთქმულება, რომელიც ისეთი მასშტაბური არ იყო, რომ ქვეყანა შუაზე გაეხლიჩა, მაგრამ იური რუსის დაპირისპირებას სამეფო კართან ქვეყნისთვის მწვავე სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვა.

მართალია დამარცხდნენ რუსის მომხრეები, მაგრამ დაღუპულ მეომრებსა და მეფისგან განდგომილ დაღუპულ ერისთავებს დარჩათ მემკვიდრეები, რომლებიც ასე მარტივად არ შეურიგდებოდნენ მამების სიკვდილს და მკვლელობისთვის შურისძიების გზების ძიებას დაიწყებდნენ, რაც ლაშას მეფობის პერიოდშიც გაგრძელდებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდებულებში მეფის ქვეგამხედველები მომრავლდებოდნენ, ამასთან გასათვალისწინებელია ყუთლუ-არსლანისა და მისი მომხრეების დახოცვა, რასაც უდავოდ მოჰყვებოდა დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და მათი შთამომავლების მხრიდან სამეფო კარისადმი მტრული დამოკიდებულება. ეს კი პერმანენტულად აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე, რაც შეიძლება გამოვლენილიყო მეფისგან განდგომაში ან შეიქმნებოდა მეფისადმი ღალატის პრეცენდენტი.

მეფესთან დაპირისპირება, თავისთავად, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბულობასა და სამხედრო დაპირისპირებას გამოიწვევდა. ამასთანავე ლაშას სხვა პრობლემაც დახვდა სამეფო კარზე, ეს იყო ივანე ათაბაგი და მის მიერ შემოკრებილი დიდებულები, რომლებიც თავს დამოუკიდებლად გრძნობდნენ, თავიანთი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად წარმართავდნენ სამეფო კარზე თავიანთ საქმიანობას. ასევე დამოუკიდებელ და თავისუფალ მმართველებად თვლიდნენ თავს ერისთავები, რომელთაც მემკვიდრეობითი ხელისუფლება ჰქონდათ საქართველოს ვრცელ რეგიონულ ტერიტორიებზე. მათ სიმდიდრეც ჰქონდათ, ძალაც და საბრძოლო შესაძლებლობებიც, დაეცვათ თავი, როგორც მეფისგან, ისე გარეშე მტრისგან. ეს ფაქტები კი ძირს უთხრიდა საქართველოს ერთიანობას და ასუსტებდა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას.

ზოგი ერისთავთაგანი თავს მეფესაც უტოლებდა, მათ შორის ივანე ათაბაგი, რომელიც ფაქტობრივად მართავდა ქვეყანას და თავის მომხრეებს ამრავლებდა. ლაშა-გიორგი თამარ მეფის უფროსი შვილი იყო და თამარის შემდეგ ტახტი მას ეკუთვნოდა და არა რუსუდანს. თუმცა მას თავისი მომხრეებიც გამოუჩნდნენ და სამეფო კარზე ზოგიერთი დიდებული ამ მდგომარეობით ლავირებდა.

ლაშა დაახლოებით 1192-1193 წწ. დაბადებულა და მისთვის პაპის, თამარის მამის, გიორგის სახელი დაურქმევიათ, ლაშა კი ზედწოდება იყო. 1206 წელს, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდგომ, თამარმა 13 წლის ვაჟი თანამოსაყდრედ დაისვა. თანამოსაყდრეობა გრძელდებოდა 5 წლის განმავლობაში. ლაშა-გიორგის დამოუკიდებლად მმართველობის დაწყებისა და თამარის გარდაცვალების თარიღი ცნობილი არაა. ის კი ნათელია, რომ ლაშას გამეფება და ქვეყანაში საგარეო და საშინაო ურთიერთობების გართულება ერთი იყო. იგი დედისგან განსხვავებით, დიდგვაროვანთა მიმართ შედარებით მტკიცე პოლიტიკის გატარებას აპირებდა, რამაც თავიდანვე კონფლიქტი გამოიწვია მეფესა და სამეფო კარზე დაწინაურებულ გავლენიან დიდგვაროვნებს შორის. თავდაპირველად კონფლიქტი განძის ათაბაგის წინააღმდეგ ლაშქრობისას გამჟღავნდა. როგორც ცნობილია, განძის საათაბაგო ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ყმადნაფიცი ქვეყნები კი ვალდებულნი იყვნენ, რომ ხარკი ეხადათ და, სიტუაციიდან გამომდინარე, ჯარი გამოეყვანათ.

განძის ათაბაგი ელოდა ხელსაყრელ დროს, რომ საქართველოს ყმობისგან თავი გაეთავისუფლებინა, რის განხორციელებაც თამარ მეფის გარდაცვალების შემდგომ ხელსაყრელად ჩათვალა. საქართველოში ყმადნაფიცობის სიმრავლე არის ძალის გამოვლინება და არა სიძლიერის საფუძველი. ამდაგვარი ქვეყნები მხოლოდ ძალის გამოყენების შიშით ემორჩილებოდნენ პატრონს და სათანადო მომენტს დაინახავდნენ თუ არა, მაშინვე ცდილობდნენ განდგომას. ამ ეტაპზე განძის ამირას თავნებობა გახდა მიზეზი ასეთი ქვეყნების ურჩობისა. ცხადია ლაშა-გიორგი გამეფებისთანავე დადგა სერიოზული გამოცდის წინაშე. მეფემ და დიდებულებმა განძის ამირას წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით გადაწყვიტეს გალაშქრება. აღნიშნული ლაშქრობა დასრულდა მეფისა და დიდებულების გამარჯვებით და განძის ამირა კვლავ აიძულეს, ხარკი ეკისრა და თავი საქართველოს მორჩილებაში ეცნო.

აღნიშნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა მეფესა და საქართველოს ლაშქრის სარდლებს შორის, რაც აიხსნება შიდა კლასობრივი ბრძოლით. ქართველთა ჯარი, როდესაც საათაბაგოს ტერიტორიაზე შეიჭრა, განძის ათაბაგმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იძულებული გახდა განძის ციხეებისთვის შეეფარებინა თავი.

განძა კარგად გამაგრებულ ქალაქად ითვლებოდა და მისი აღება მარტივი საქმე არ იყო, მაგრამ განძელთა ლაშქარი მაინც დამარცხდა. ცხადია, ზარალი დიდი იყო როგორც განძისთვის, ისე ქართველებისთვისაც.

ქართველ სარდლებს, ამირსპასალარის – ივანე ათაბაგის მეთაურობით, რასაკვირველია, არ ესიამოვნათ მეფის დამოუკიდებლად მოქმედება. მეფის აღნიშნული ქმედებები იმის ნიშანი იყო, რომ თავის მოქმედებების შეთანხმებას არ აპირებდა არავისთან. ლაშა-გიორგის მისწრაფება ნათელი იყო, მას სურდა პაპის, გიორგი მესამისა და დიდი პაპის, დავით აღმაშენებლის ძალაუფლების მქონე მეფე ყოფილიყო „ნებითა ღვთისა“ და არა „ნებითა დიდებულთა.“

მეფის კარზე ჯერ კიდევ ბობოქრობდნენ დიდებულები, რაც ისახება მეფის ცხენიდან ჩამოხტომით და დიდებულების წინაშე ბოდიშის მოხდით. ათაბაგი მეფეზე მაღლა იჭერს თავს და ავლენს მესხებისადმი შუღლს განძის ბრძოლაშიც. ლაშა-გიორგიმ ოთხი ათასი ქართველით შემოუარა ქალაქს და განძელთა ათიათასკაციანი ჯარი დაამარცხა. აქაც მხარგძელმა ქედმაღლურად მეფეს შენიშვნა მისცა, თითქოს თვითონ მეფე იყო და ლაშა ხელქვეითი. სავარაუდოა, რომ ეს ის ოთხი ათასი მესხია, რომელიც შალვა ახალციხელის მეთაურობით წინ აღუდგა ჯალალედინს გარნისთან, ამით კიდევ ერთხელ გაცნაურდება ათაბაგის გამცემლური და მტრული განწყობა მესხებისა და ახალციხელისადმი.

რასაკვირველია, ლაშა-გიორგი ამგვარ სიტუაციას არ შეეგუებოდა და ცდილობდა გარშემო შემოეკრიბა ერთგული და თანამოაზრე დიდებულები. ლაშა-გიორგისა და დიდგვაროვანთა დაპირისპირება ჩანს არა მხოლოდ პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ ცხოვრებისეულ სფეროშიც. ამის შესახებ წერს მემატიანე „ჟამთააღმწერელი,“ რომლის გადმოცემით, ლაშა-გიორგიმ ჩამოიშორა თამარ მეფის მიერ შეკრებილი დიდებულები და დაიყენა გვერდით თანამოაზრენი. ისტორიკოსი ამ ვითარებას პრობლემატურად მიიჩნევს, რაც იქიდან ჩანს, რომ ვითარებას საკმაოდ მუქ ფერებში ასახავს. ლაშა-გიორგი ვიზუალურად, როგორც გადმოგვცემენ, იყო „ტანით მაღალი, მხნედ მოისარი, ნადირობაში მარდი, ლაღი ბუნებით.“

როდესაც ვსაუბრობთ ლაშა-გიორგიზე, უნდა აღვნიშნოთ მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანაში საგარეო - პოლიტიკური ვითარება. საუბარი უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ მისი მეფობის პერიოდში საქართველო ჯერ კიდევ ძლიერი და ავტორიტეტული სახელმწიფო იყო მსოფლიო ასპარეზზე. ლაშა-გიორგის მმართველობის ბოლო პერიოდში საქართველოს რამდენიმე ყმადნაფიცმა ქვეყანამ კვლავ სცადა განდგომა, მაგრამ მეფემ მოახერხა მათი კვლავ დამორჩილება და დახარკვა. მსგავსი შემთხვევაა 1219 წელს ლაშას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ლაშქრობა. მან აიღო ოროტნი და სხვა ციხეებიც ნახიჩევანამდე. ასევე ქართულმა ჯარმა, ივანე მხარგრძელის მეთაურობით, მოარბია სასულთანო, დაიმორჩილა კანდუ-ქალაქი. რაც შეეხება შალვა თორელ-ახალციხელის სარდლობას, მან დალაშქრა კეჩროლი. ამ პერიოდში ლაშას რომის პაპმა ჰონორიუს მესამემ გამოუგზავნა ეპისტოლე, რომ საქართველოს მეფე პალესტინის გასათავისუფლებლად ბრძოლაში მონაწილეობაში ჩართულიყო. ეს ფაქტი დამყარებული იყო თხოვნის საფუძველზე. ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა 1217-1221 წწ., რომელიც იყო მიმართული ეგვიპტის წინააღმდეგ, იგი დამთავრდა უშედეგოდ. ჯვაროსნებს იმედი ჰქონდათ ქართველთა ჯარის დახმარებისა. ცნობილია, რომ ხმაც კი გავრცელდა ჯვაროსანთა შორის, რომ საქართველოს მეფემ ეს ლაშქრობა დაიწყო, რასაც აღნიშნავს ფრანგი რაინდი „დებუა,“ კერძოდ, ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ თავის წერილში. როგორც ჩანს, ლაშა-გიორგის მართლა დაუწყია სამზადისი ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, ამ დროს კი საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ თათარ-მონღოლები, რომლებმაც არა მხოლოდ ლაშქრობის გეგმა ჩაშალეს, არამედ შეცვალეს საქართველოს განვითარების ისტორიის მიმართულებაც.

მეფე, რომელიც საქართველოს ისტორიაში თავის უიღბლო და ტრაგიკული სიყვარულის გამო სრულიად განცალკევებული დგას სხვა მეფეთა შორის და რომლის პიროვნების ირგვლივ დღემდე გრძელდება კამათი ისტორიკოსთა შორის. მისი ისტორიული სახეც სხვადასხვაგვარად გამოიყურება მატიანეებში: თუ ლა-

და პირაქდული პროგლეევი

შას დროინდელი მემატიანე მისი, როგორც მეფის, ისე ადამიანის დადებით მხარეებს აღწერს, რუსუდან მეფის დროინდელი წყაროები მას უარყოფით ასპექტში წარმოაჩენენ.

მეფე რომ სიყვარულში თავისუფალი არ არის, ეს მრავალ ისტორიულ წყაროსა და ლიტერატურულ ნაწარმოებში ფიქსირდება. „ქართლის ცხოვრება“ მეფეთა სიყვარულის მხოლოდ ორიოდე შემთხვევას აფიქსირებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს იშვიათი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფეთა ქორწინება პირად გრძნობებსა და სურვილებზე არ იყო დამოკიდებული და ის ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ადვილი გასაგებია, რომ მეფის ბედს სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესები განაპირობებდა. ამდენად, მირონცხებული მეფე ყველაზე მეტად შეზღუდულია სიყვარულთან და მისი პირადი ბედნიერება ქვეყნის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ „ღვთით კურთხეულთაგან არავინაა ბედნიერი ამ ქვეყანაზე“. ამ სიტყვებს ეუბნება შაჰს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ლიბიის უძლიერესი მეფე კროისოსი, რომელსაც თავი ყველაზე ბედნიერი ეგონა თავისი სიმდიდრისა და სიძლიერის გამო. ეს ილუზია მალევე დაემსხვრა მას, როდესაც მისი ქვეყანა სპარსეთმა დაიპყრო და თვითონ ტყვედ ჩავარდა.

ლაშა-გიორგის სიყვარული განსათანამოსაყდრეა. ამ საუკუნის წარმატებები დედასთან ერთად ლაშა-გიორგის წარმატებებიცაა. ქვემო ქართლში, ზოგიერთი ტაძრის წარწერებში, ლაშას სახელი ფიქსირდება. ეს რაც პირადად ვნახე, მხოლოდ იმ ფაქტებს ვიხსენებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ საქართველოს სხვა მხარეებშიც ბევრი იქნება ლაშა-გიორგის აშენებული და შეკეთებული ეკლესია-მონასტრები. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ივანე ათაბაგი-მხარგრძელი, რომელიც პირველი უპირისპირდება მეფეს, რუსუდანის გუნდშია. საფიქრებელია, რომ სწორედ ივანე მხარგრძელი ფიგურირებს სამეფო ტახტისათვის ბრძოლის გაღვივებაში ლაშა-გიორგის წინააღმდეგ და, სავარაუდოდ, ჟამთააღმწერლის მატიანეშიც ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ცნობის არსებობა ამ დაპირისპირებითაა განპირობებული.

ლაშას გამიჯნურება ველისციხელ ქალთან ძალიან მშრალადაა გადმოცემული ჟამთააღმწერლის მიერ: „მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნილ-კეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართვისა და საქმისაგან მსწრაფლ თვისად მიიყვანა და შეიყვარა ფრიად“ (ქართლის ცხოვრება).

მემატიანე ვერ მალავს, რომ ლაშას შეყვარებული ლამაზი ქალი იყო და იგი ძალიან შეუყვარდა მეფეს. ლაშას გამიჯნურებამდეც აშანტაჟებდნენ ივანე ათაბაგი, ვარამ გაგელი და ემუქრებოდნენ, რომ დარბაზობას აღარ დაესწრებოდნენ (ეს თვისება, როგორც ჩანს, ყოველთვის ჰქონდა ქართულ ხელისუფლებას) და „არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა“. (*იქვე.*).

ლაშას მიერ ქალის სასახლეში მიყვანის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია ეს გაზულუქებული დიდებულები როგორ ოპოზიციურ გუნდს შექმნიდნენ მეფის წინააღმდეგ. სწორედ აქ ვლინდება ლაშას სიყვარულისადმი ერთგულება, მისი ვაჟკაცური ბუნება და მამაკაცური ღირსება. მას უყვარს მშვენიერი ქალი და რომ გაუშვას, ეს იქნება მისი სიყვარულის ღალატი და კაცური ღირსების შელახვა. ბუნებრივია, იმ დიდებულთაგან, ვინც მეფეს ველისციხელი ქალის გაშვება მოსთხოვა, პირველი ათაბაგი იყო. სწორედ მისი თაოსნობით „შეკრიბეს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი“ და მოსთხოვეს მეფეს გაეშვა ქალი, რომელიც უკვე ლაშას ძის დავითის (შემდეგში მეფე დავით ულუდ წოდებული) დედა იყო. ცხადია, მეფე მათ უარს ეტყოდა და თავის სიყვარულს არასოდეს დათმობდა.

ლაშა-გიორგი, როდესაც უარს ეუბნება დიდებულებსა და საეკლესიო ხელისუფალთ ქალის დათმობაზე, იგი მზადაა ყველაფერი დათმოს ამქვეყნიური, არ აინტერესებს არც იმიჯი და არც მეფის ავტორიტეტი.

მეფის ამ მონაცემებს აფიქსირებს ჟამთააღმწერელი „რამეთუ იყო ლაშა-გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი, ლაღი... თვითბუნება, უხვი“. იქვე,). აშკარაა, რომ ლაშას მეფობის პერიოდის იურიდიული ნორმები, რომლებიც კრძალავდნენ მეფის და, არა მარტო მეფის თავის ხელქვეითზე, თუნდაც სიყვარულით ქორწინებას, არ შეესაბამება ზნეობრივ პრინციპებს. ალბათ, ესეც გახდა ოფიციოზის უთანხმოების მიზეზი.

ლაშას სიყვარულის აღწერისას ივანე ჯავახიშვილი ჟამთააღმწერლის მონაცემებშიც ავლენს ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს და ეჭვის ქვეშ აყენებს მის ობიექტურობას. მემატიანე მაინც ხელისუფლების ნებას ახორციელებს და საეჭვოა, მის ხელთ არსებული წყაროები ობიექტური ყოფილიყო. ეს დასტურდება ლაშას გამიჯნურებისა და დიდებულების მიერ ქალის „წაგვრის“ აღწერისას.

როდესაც მეფეს შეუყვარდა ქალი და წამოიყვანა, იმ დროს არ წერს მემატიანე, რომ ქალს ქმარი ჰყავს, ხოლო, როდესაც წაიყვანეს ქალი, მაშინ წერს, რომ იგი ქმარს დაუბრუნეს. თუ ქმარი ჰყავდა ქალს, მაშინვე დააფიქსირებდნენ, რომ ქმარს წაართვა ცოლი. საფიქრებელია, რომ ქმარი დიდებულებმა შეურჩიეს ქალს, რომ მეფეს აღარ დაჰბრუნებოდა. ცხადია, იმ ქალს ქმარი თუ ადრევე ჰყავდა, შვილიც ეყოლებოდა. „ქალი არ ეყოლაო ქმარს. თუკი ის მისი ცოლი იყო ლაშას გაცნობამდე მისთვის ცოდვა არ იქნებოდა თავის კანონიერ ქმართან ცხოვრება. ეს ფაქტიც გვაეჭვებს, რომ ქალს ქმარი არ ჰყავდა მეფესთან შეხვედრამდე“. (*ინაური*).

ლაშა გიორგის სიყვარული ველისციხელი ქალისადმი დასტურდება კიდევ იმით, რომ მან საერთოდ აღარ შეირთო ცოლი. ლაშას სიკვდილის შემდეგ მჟღავნდება რუსუდანის ვერაგული ქიშპი გვირგვინოსანი ძმისადმი. იგი უკიდურესად უსამართლოდ და სადისტურად ეპყრობა ლაშას ძეს დავითს, რომლის აღზრდაცა და მეფედ დასმაც ძმამ მას უანდერძა. ის წარმოუდგენელი სისასტიკე, რაც რუსუდანმა ლაშას ძის დავითის მიმართ გამოავლინა, გვაფიქრებინებს, რომ იგი ძმას ფარულად მტრობდა სიცოცხლეშიც, არც ისაა გამორიცხული, მის სიკვდილშიც ყოფილიყო გარეული. მემატიანე, როგორც წესი, მდაბიო წარმოშობის ველისციხელ ქალზე აღარაფერს წერს. რაც მეფეს მოაშორეს, იგი მას აღარც ახსენებს, მაგრამ ერმა ლაშასადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემასთან ერთად, ამ ქალისადმი პატივისცემა და კეთილი განწყობა შემოინახა.

ლაშა გიორგი, ხალხური გადმოცემით, ფშავ-ხევსურეთში იზრდებოდა, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებელია, რომ გარკვეულ წილად მთაში ყოფილიყო უფლისწული, ეს მის ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესზე კეთილ ზეგავლენას მოახდენდა. გადმოცემით, ლაშარის წმინდა გიორგი ლაშას სახელს უკავშირდება, იმ პერიოდიდან ძლიერდება ლაშარი, როგორც წმინდა სალოცავი, რომელიც არა მარტო ფშავლების, არამედ თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი უძლიერესი საკულტო ცენტრი იყო, რომელიც წარმართული სალოცავის მუხის ანგელოზის ადგილზე „ხმელ გორზე“ აუშენებიათ.“ თამარის ბრძანებით ეკლესია აუშენებიათ, რომლისთვისაც თამარს თავისი ძის, ლაშა-გიორგის სახელზე ვერცხლის ჯვარი შეუწირავს და ამ გორასაც ლაშარის ჯვარი დარქმევია *(სერგი მაკალათია, „ფშავი“, გვ.21).*

ქართველები მონღოლების წინააღმდეგ. ცენტრში ლაშა-გიორგი. მინიატურა ჰაიტონ კოიკუსელისა

კუთრებული მოვლენაა მეფეთა ცხოვრების ისტორიაში. იგი სრულიად განსხვავდება თავის დრამატიზმით, ტრაგიზმით და შეყვარებულთა ერთმანეთისადმი ერთგულებით. ამას თვითონ მეფის პიროვნული თვისებებიც განაპირობებდა. „მეფე თითქმის თავისუფალ მოაზროვნედ და თავისებურ პიროვნებად მოჩანს“. ლაშა-გიორგის პიროვნულ თვისებებზე წყაროებში განსხვავებული მონაცემებია შემონახული. ერთნი მას ახასიათებენ როგორც გულისხმიერ, თავმდაბალ, თავისუფალი ნების კეთილ ადამიანად, მეორენი კი „უწესო დედათა“ მოყვარულ კაცად მოიხსენიებენ.

ძნელია რვა საუკუნის წინანდელი ჩანაწერის იგნორირება, მაგრამ მისი დამაჯერებლობის გარკვევა შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდის პოლიტიკურ ვითარებას. ცნობილი ფაქტია, რომ ლაშა-გიორგის დის – რუსუდანის გუნდი ტახტის დასაუფლებლად მოქმედებს და ლაშა-გიორგის სიკვდილის შემდეგ (სავარაუდოა მის სიცოცხლეშიც) იგი თავისი პოლიტიკური ძალაუფლების მეშვეობით აუცილებლად შეეცდებოდა ლაშას სახელის კომპრომეტირებას, რაც ჯერ რუსუდანის, ხოლო შემდეგ მისი შვილის – დავით ნარინის გამეფებაში დაეხმარებოდა.

ცხადია, ლაშასადმი რუსუდან დედოფლის ასეთი დამოკიდებულების გამო მემატიანე ვერ დაწერდა მეფის შესახებ დადებითს, პირიქით, შეეცდებოდა სახელი გაეტეხა მისთვის. ამიტომაც ლაშა-გიორგის ღვაწლი საერთოდ იგნორირებული და დაფარულია.

მან დედამისთან თანამოსაყდრეობის დროს ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. აღსანიშნავია მისი წვლილი ტაძართა მშენებლობაში. მის სახელს უკავშირდება ქვათახევის, ბეთანიის, წუღრუღაშენის, დმანისის სიონის აშენება. ამ საკითხზე არც მემატიანეები წერენ და არც მკვლევრები აქცევენ დიდ ყურადღებას. ეს ტაძრები ერთი ხუროთმოძღვრული სტილის ნაგებობებია, რომელიც მეცამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა, ხოლო გიორგი 1206 წლიდან

ფშაველთა თაყვანისცემა ლაშა-გიორგისადმი ჩანს აგრეთვე მათ მიერ ლაშას ველისციხელი ქალისადმი გამოვლენილ ზრუნვასა და პატივისცემაში. გადმოცემით, ის ქალი აღიკვეცა მონაზვნად ეკლესიაში, რომელსაც შემდეგში „ხარჭისო“ ეწოდებოდა. იგი მნიშვნელოვან საკულტო ცენტრად იქცა არაგვის ხეობაში, სადაც საეკლესიო ცხოვრებას განაგებდა წინამძღვარი ხარჭაშნელი, რომელიც თითქმის მთელ ხეობას აერთიანებდა. აქ, ამ მონასტერში, დაასრულა სიცოცხლე ლაშა-გიორგის საყვარელმა ქალმა – ხარჭამ, რომელსაც უფრო მეტი სტატუსი არ ეღირსა თავისი საყვარელი რაინდის გვერდით. მაგრამ ლაშას მასთან ურთიერთობის ფონზე მეფის თავისუფალი სული, დემოკრატიული ხედვა, სიყვარულის ერთგულება და მამაკაცური ღირსება დღემდე უკვდავია ქართველი ერის ხსოვნაში.

ფახრ-ად-დინ გორგანი

რედაქციისაგან:

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, გასული წლის ნოემბერში გამოვაქვეყნეთ ნაწყვეტი დიდი სპარსელი პოეტის ფახრ-ად-დინ გორგანის პოემიდან „ვისრამიანი“, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის შედევრად ითვლება და რომელიც ქართულად ითარგმნა XII საუკუნეში, სარგის თმოგველის მიერ, თუმცა სპარსულად პოეტურად დაწერილი ტექსტი მთარგმნელმა პროზის სახით წარმოადგინა. მისი პოეტურად გარდაქმნა თავს იდო მწერალმა ანზორ სიფრაშვილმა და სწორედ მის მიერ შექმნილი ლექსითი ვარიანტის ნაწყვეტი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ უკვე დაბეჭდილი ტექსტის გაგრძელებას.

გვინდა დაინტერესებულ მკითხველს ვაცნობოთ, რომ ნაწყვეტები ამ მშვენიერი პოემიდან ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებშიც გამოქვეყნდება.

ვისრამიანი

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“
შ. რუსთაველი

წინა თავების მოკლე შინაარსი: *სპარსეთს ფლობდა მეფე მორჭმული მოაბადი. ერთხელ იგი ეწვია ქალაქ მარავს და იხილა მეტად ლამაზი ქალი, სახელად შაჰრო, რომელიც ძალზე მოეწონა და სთხოვა, თუ გყავს ან გეყოლება შენსავით ლამაზი ასული, მნებავს რომ იგი ჩემი ცოლი გახდესო. შაჰრომ მიუგო, ასული არა მყავს, მაგრამ თუ შემეძინება, შენს გარდა ცოლად არავის გავატანო. ამის შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი და შაჰროს შეეძინა ასული, რომელსაც ვისი დაარქვეს. იგი იზრდებოდა ძიძასთან, მეტად თავნება და ამპარტავანი, რაც ძიძამ ვისის დედას–შაჰროს– წერილით აცნობა:*

აქა ვისის ძიძისა წიგნი შაჰროს-ვისის დედას-თანა მიწერილი

მიეწერა: „ესე მიკვირს, მუცლითგან რა გიშობია,
მოგიცია საზრდოდ, ძიძად ჩემი თავი გიჯობია,
არ გინახავს, არც გიკითხავს, ჩემს გულს შუბი გისობია,
არც რა ჩემთვის არ გიბოძავს, რა კაბა და რის ქობია,

თუ საყვარელ შვილს არ იტყვი,
ესრეთ ქცევა სადა თქმულა,
პირსა მისსა უებროსა, ქვეყნად ახლავ რომ განთქმულა,
არ იქადი მისისაგან სილამაზედ რა ჩათქმულა,
უწყი მშობლის სიყვარული არასოდეს არ დანთქმულა.

ვით ეგების ესრე გულქვად რომ ექცევი შვილსა შენსა,
დაივიწყე რაც მე მომეც, ფიქრობ „ –შაჰრო დაარჩენსა“,
შენ სხვა ვერვინ ვერას გიზამს,
თვით ქმნი შენსა განაჩენსა,
ის კარგია, შენ ვერას იქმ რასმე მისსა შესაშვენსა.

აწ კი გაზრდილა ნებივრად მრავლითა უმრავლესითა,
ყოვლითა სიამტკბილობით, არ ტანჯვითა და კვნესითა,
ამაღლდა მართვე შევარდნის ნებითა უმაღლესითა,
მეშინის ისრ არ ამაღლდეს, აღარ გვიკადროს წესითა,

ვაითუ სადმე წავიდეს, ეძებოს თავისაებრი,
უწყი, ძნელია ეულად, გვერდით კი არარაებრი,
რაც უნდა მოხდეს – მოხდება, კანონი არი ღვთაებრი,
ნურვინ იქნება ამაყი, ამპარტავანი, მზვაებრი.

ეგე ასული პირმშვენი აწ გამიზრდია ნაზობით,
არ იყო გულნაკლულები სტუმრობით, ან დარბაზობით,
ყოველი ჰქონდა საკმაო საჭმელ-სასმელი კმაზობით,
რაიც გამაჩნდა, მისად ვთქვენ ნაქარგობით და ხაზობით.

აწ ჩვენი აღარა მოსწონს, არცა რა ტანისამოსი,
ნებიერია უსწორო, მუდამ მძებნელი ამოსი,
არცა სასმელი – ჭამადი, გვეშინის არ იხამოსი,
თუმცა ღვთით გვაქვის ყოველი, მაინც გვეშინის წამოსი.

თუცა მიართო საცმელი აუგს დებს სამოცთა ფერთა:
ყვითელი – ფერი სნეულთა, – იტყვის,
– ვერა ვიქმ ჩემფერთა,
წითელი ბოზთა ფერია, რას ვაქნევ მათთა საფერთა,
ლურჯია მგლოვიარეთა, ვერა ვიქმ, არ მგამს ამფერთა.

თეთრსა იცმევენ ბერანი, ორფერსა – მწინობარანი,
ვეღარ შევიგნეთ რა მოსწონს,
რომელს უბრწყინვებს ფარანი,
დილით მონათ და მხევალთა ითხოვს, არ იცის კმარანი,
ჰარირის ნებავს სამოსი, ძვირფასი ზედ ქამარანი.

შუადღეს ოქროქსოვილსა, საღამოს – ოქსინოსისა,
ყოველ წამს და წამს თვითო ფერს, სასტუმროს, აბანოს ისა,
ზოგჯერ ხარასა, მანავსა, მთლად უცხოდ შეიმოსისა,
სადაცა მიდის, წინ უძღვის ხმა დუმბულის და ქოსისა.

ოდეს დრო არის მოვიღოთ სადილი პურის ჭამითა,
ბრძანებს მოართვან ჭურჭელი ოქროს ტაბაკით, ჯამითა,
არად მიაჩნის სხვაგვარად, უჟამო არს თუ ჟამითა,
სხვაგვარად არ კმაყოფილი კმაყოფილი არს ამითა.

ახლა მხევალნი, კეკლუცნი! ორმოცდაათნი მონანი,
ოქროის სარტყელებითა, ერთ-ურთს არ მჯობნი, სწორანი,
ატლას-ოქსინო მოსილნი,
არც ერთს არ ჰქონდის კრთომანი,
ნადიმად ქალი ოთხმოცი, ლამაზნი, თვალთა ნდომანი.

მეტსა მე მას ვერ გავუძლებ, მივართმევ ვერც ვეღარასა,
ვინა ვარ რომ მასა ვზრდიდე, ან წარმოვადგენ მე რასა?
რა წაიკითხო ეს წიგნი, ჰკარ ბუკსა და ნაღარასა:
თათბირი ქენ, წაიყვანე, ნუ შემომითვლი არასა.

რაიც არ უნდა ვეცადო, უკვე ვარ შემძლე მე რისა,
იქმნიან თითნი ხეირსა თავისა თუნდ ოხერისა?
ათი ათასი ვარსკვლავი არ ტოლ არს ერთ მზის ფერისა,
რაც უნდ მიყვარდეს, აწ ვეღარ მივსცე
ყოფნა ქვე ჭერისა“.

მისცა ეს წიგნი ფაიქსა, უბრძანა სწრაფი წასვლანი,
უწყოდა შაჰროს სამყოფი, არა სჭიროდა სწავლანი,
შეასახელა, შეჰპირდა – გექნების მრავლად დავლანი,
არ მოგერიდოს, შენია გზანი და გზისა ავლანი.

რა ცნა ასულის ქებანი, მისი გაზრდა და მშვენება,
შაჰრომან განიხარნა და ძღვნად მრავალი რამ ენება,
მწიგნობარს თაჯი გადასცა, ოქრო და ოქროსფენება,
სხვა საქონელი, ცხენები, რომელთ ვერ დაღლით ჭენება.

ვისის სამგზავროდ ოქროსი გაგზავნა ტახტრევანია,
იგი მეფისა ასული მეფურად მოსაყვანია,
მსახურ-მხევალნი, მცველები, მრავალნი, ვითარც ქვანია.
უბრძანა:“– მსწრაფლ იარენით, არსად დააგდოთ ხანია“.

ძიძასაც მისცა აქლემნი ოქროთი, მარგალიტითა,
ჯორებზე სკივრნი თვლებითა, არ დაკეტილი კლიტითა,
იარეს მათაც ჩქარობით, ვერვინ ეწივნეს ჩიტითა,
ჰამიანს შემოიყვანეს ვისი, ტკბებიან ჭვრიტითა.

აქა ხუზისტანით მოყვანა ვისისა ჰამიანის ქალაქსა

რა შაჰრომ ნახა ასული, მისი პირი და ტანია,
ღმერთს ხელაპყრობით მადლი სცა, თქვა:
– შენი მონატანია,
შეულოცა და შეჰბერა – არ მიხვდეს მას სატანია,
თვალი არ ეცეს, რამეთუ ბოროტს ხან გაუტანია.

გლახაკთა ზედა მრავალი ოქრო და ვერცხლი გასცა მან,
მზე, მთვარე და ვარსკვლავები მაღლა,
ზეგარდმო ლოცა მან,
ადიდებდა და აქებდა: აწ გადმომხედა მე ცამან,
ღმერთზე ამბობდა, ვმადლობო, მომცა, მიბოძა რაცა მან.

დაიდგა ტახტი წინაშე, წამოაბრძანა ზედ ვისი,
ხედავს ქალია უზადო, ამქვეყნად მსგავი არვისი,
არვინ სჯობია კეკლუცი, ვინც იცის ფასი თავისი,
მზე მას ედრება, იგი – მზეს, ცილობენ რა – მზე, რა – ვისი.

ვით მოყვარულმა მშობელმა, სცხო ასულს მუშკი – ამბარი,
მრავალი სხვა სურნელება, ნაზი, ცივი თუ გამთბარი,
ოქრო-ქსოვილით შემოსა, თვალი მით იყო დამტკბარი,
ესრე შეკაზმა, ვერ სჯობდეს სპასპეტი თუ ამირბარი,

მრავალფერი და ფერადი, ვით სახე მანი ჩინელის,
მიმზიდველი და უმანკო, ლამაზი, არსაშინელი,
თვალნი ამო და კეკლუცნი, ავისა არ მოწილენი,
მოსწონდეს მნახველს ყოველსა, არვისთვის არმოცილენი.

რაც უფრო მეტად ჰკაზმავენ,
უფრო და უფრო მშვენდების,
მზე უმისოდ ვერ ამოდის, ამოდის – ვერა თენდების,
მისი სახისა შემყურე კოშკნი თავისით შენდების,
ვეფხი არა თმობს საჭვრეტელს, მერანი არა ჭენდების.

მის დანახვაზე ამაყი ოქრო გაწითლდეს სირცხვილით,
ხენი ძირს ხრიან ტოტებსა,
ვარდნი ჭკნებიან სიჩჩვილით,
ყანდი გამწარდის, ანიღა ვერავინ ჰპოებს სიტკბილით,
ქურციკი ბალახს აღარ სძოვს, უკუ მიილტვის სირბილით.

რა ნახა დედამ ასული შვენება-მოჭარბებული,
არქვა: – ჰე, მშვენო ქვეყნისა!
მამით ხარ ყოვლგნით ქებული,
იგი – ხელმწიფე ხვასროვი, ყველასგან განდიდებული,
დედა გყავს გვარიანი და დედოფლად აღზევებული,

ხარ კეკლუცი და უებრო, ანგელოზთაგან ნაფერი,
მიწასა ზედა ამქვეყნად ვერ ვნახოთ შენი საფერი,
არ ეგების რომ მას მიგცე, ვინცა არს შენი უფერი,
ვერვინ გაგიწევს ჯუფთობას, არ მეგულება შენფერი.

მხოლოდ ვიროა, ჩემი ძე, რომელი შენი სწორია,
მინდა ეცოლო იმასა, ნამდვილი, არა ჭორია,
ის ქმარი და შენ მის ცოლი – ერთნი იყავით ორია,
ვფიქრობ, ქორწილი სათქვენო ახლოა, არა შორია,

ნატამალს გაგვიმრავლებდე – გავიხარებდე მზახობით,
შენ, დაი მისი – ცოლ იყავ, შენ, მიმზიდველო სახობით,
ჩემიცა რძალი იქნები, აროდეს გეტყვი ახობით,
ჩემი შვილი და ასული, არ დაგღლი მე უმზახობით.

ჩემი ასული – რძალი და ყოვლგვარად ხარ მშვენიერი,
როს ჩემს სანდოსა მე შევრთავ სანდოს
– მით ვარ ბედნიერი,
ამ დროს აქვს ჩემსა საწუთროს ყოვლად სისრულის იერი,
შევვედრი ღმერთსა ესრეთა იქმიდეს, არის ღვთიერი.

რა ესე სიტყვა ვისისა ესმა – გაწითლდა სირცხვილით,
გულშიგან ცეცხლი ჩაეგზნა ძმისა მისისა სურვილით,
აენთო სიყვარულისგან და მსწრაფლ
ნახვისა წყურვილით,
აღარა უთხრა პასუხად, უხმობით არს შეჭურვილი,

იგრძნეს დედათა სხვათაცა რად არის ჩუმად ქალია,
– ნდომისა ნიშანი არის, ლამისა სული დალია,
დედამაც აგრე შეუტყო, სხვა ფიქრისთვის არ სცალია,
თავადაც ბევრის მნახველსა არად შეშლია კვალია,

ოდეს დასტურად მიიღო ქალისგან ნდომა ვიროსი,
უხმო მუნეჯიმთ, მეცნიერთ, არად ჩააგდო ტაროსი,
ჰამიანით და გორაბით, წიგნებით მრავალ თაროსი,
ზოგს რამლი მოაქვს საყრელი, ზოგს ძვალი და ავგაროსი.

უბრძანა: – მოდით, გამიგეთ ეტლი მათ ქორწილისანი,
ვისი არჩივნი არიან, ანდა ბედი აქვთ რისანი,
რომელს რა წაეკიდების, ვის ხვდების რისხვა მტრისანი,
ვითარ არს ბედის ვარსკვლავი ვისისა – ვიროსისანი.

მათაც გასინჯეს ეტლი და უპაემნეს დღე სვიანი,
რომელ დღე იქნეს კეთილი, მზიანი, არ რისხვიანი,
მივიდა თავად შაჰროცა, არ იყო ჟამი გვიანი,
დარბაზსა ზედა კოშკი დგა, ჰქონდა მას კიბე ხვიანი.

უხმო შაჰრომან თვისსა ძეს და ასულსაცა თავისსა,
უყურებს, უჭვრეტს ორივეს, ხან ვიროსა და ხან ვისსა,
უხარის, ტკბება, რამეთუ გრძნობს სიხარულსა არსხვისსა,
არა ჰმორჩილობს არავის, ეკითხვის არც არავისსა.

კოშკშიგან სხედან სამნივე: სიდედრი, მასთან დედაცა,
ასული ვისი, რომელი იყო მის რძალი ზედაცა,
ხოლო ძე, ვირო – სიძეა, ცოლი კი მისი –ზე დაცა,
ვითარც ზოგი რამ ბუჩქია, მაგრამ ითქმების ხედაცა.

ვითარც ვთქვით, შაჰრო დედაა, თუმცა
არს დედამთილიცა,
მას უმზერს ყოვლი ყვავილი, ახლო –
შორს მდგარი მტილიცა,
რაც უნდა მოხდეს – მოხდება, ამბავი მწარეც, ტკბილიცა,
რა ქარიშხალი მოვარდეს, სქელიც გაწყდება, წვრილიცა.

აიღო შაჰრომ ვისისა ხელი და მისცა ვიროსა,
დალოცა, უთხრა: – ამბავი თქვენი ვინ გაიკვიროსა,
თქვენი აუგი ნუ მესმას, ნურც ნურვინ დაიყვიროსა,
აწ ცოლ-ქმარი ხართ და მეცა გეტყვით
სათქმელსა ძვიროსა:

ერთმანერთისა არა ხართ უმეცარნი და უცხონი,
რძალსა არ უნდა შეკაზმვა, ღაწვ-ლოყას რა წაუცხონი,
იგი თვით ღმერთმა მოკაზმა, თვალ-წარბი აქვს საუცხონი,
ქონება მისი მრავალი, უთვლელი და ურიცხონი,

აწცა თქვენ ორნი ერთნი ხართ, არ გინდათ შუამდგომელი,
არცა ვინ მოწმე – ღმერთია თქვენი ერთობის მდომელი,
კმა არის იგი თქვენთვისა, და კიდევ მასთან მყოფელი
ანგელოზთ დასი ღვთიური, აწ ვინ შეგრისხავთ, რომელი.

დალოცნა შაჰრომ ორნივე, მთქმელმან,
მვედრელმან ამისი:
„დამბადებელმან განხარნეს, წყენა არ გქონდეთ წამისი,
მრავალნი შვილნი მიჩვენოს თქვენი, დედის და მამისი,
გამაზრდევინოს, ვით მე მსურს, ძენი რა შენი, რა მისი“.

აქა ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი და მოაბადის ძმისა ზარდის მოციქულად მოსვლა

აწ მოგახსენებ სიმართლეს სიბრძნისას ცხოვრებისასა:
რა მართლად არა დარგავენ – ნახვენ სიმრუდეს ხისასა,
თავშივე კარგად გამოჩნდის მოხდენა რამ საქმისასა,
ზამთარში ჩანს თუ ზაფხული წახდების მზით გვალვისასა.

მშვილდის მოზიდვას ეტყობა მართლად თუ წავა ისარი,
ნაყოფი ვითარ გამოვა – ნახე ხე ნამაისარი,
ესრეთ ვისისა საქმე ჩანს სულ სხვაა, არა ის არი,
რამეთუ ის არ მიიღო ელოდა რას კეისარი.

არსვიანია შაჰროსი ესე საქმენი, მწარია,
ისე გაუხდა, უჯობს რომ, ეძებოს მან ბაწარია,
ლამის თავის თავს უწოდის გიჟი და გარეწარია,
რომ არ დაფიქრდა და ყოვლი აგრე უაზროდ წარია.

ოდეს ვისსა და ვიროსა ერთ-ურთის ჩაუდვა ხელი,
მოკაზმა საქორწილოდ და ცოლ-ქმრის უწოდა სახელი,
მოვიდნენ დიდებულები, ხუზისტანელი, ბალხელი,
სუფრაც სავსეა ხორაგით, მრავლად ნაკაზმი, ნახელი.

დრო იყო სიხარულისა, პურის ჭამისა და სმისა,
ვიროსის ნეფედ და ვისის, დედოფლად ერთად დასმისა,
გარნა ანაზდად ხედავენ: ჟამია შავის წასმისა,
არა ქორწილის, ნადიმის, არც როკვის, ფეხის გასმისა,

ხედავენ: ზღვიდან ღრუბელი გამოჩნდა შავზე შავია,
ვითარცა რისხვა, ბოროტი, თუმც ვის რა დაუშავია,
დღე კი ნათელი, მზიანი, იდგა, არა პირშავია,
თუმც ყველას ასრე ეგონა, დაგვიდგა ვაი-შავია,

დაბნელდა მთელი ქვეყანა, დადგა რა მტვერი, რა ქარი,
ერთმანეთს ვეღარ ხედვიდეს გლეხი, ვაჭარი, ამქარი,
გარბიან მექორწილენი, ძირს ყრია ხმალ- ქირაფქარი,
ფიქრობენ: რა დავაშავეთ, რა ვცოდეთ ან რა მივქარი,

გზად კაცი ვინმე მოვიდა, შავითა შეკაზმულევი,
შავსა ცხენს მჯდომი, უნაგირს თვალ-მარგალიტი ულევი,
შავი აბჯარი ემოსა, ფერზედ არ ნამარხულევი,
ყოვლად საამო ტანითა, არვისგან დანაკრულევი,

იისა ფერსა ტახტრევანს მოაცორვებდა ცხენითა,
უკან მოსდევდა მსახური სავსე ძვირფასი ძღვენითა,
მოაბადისა წიგნს აჩენს, მოდის ღიმით და ლხენითა,
მისსა ქცევას და საუბარს ვერავინ აღწერს ენითა.

მოციქულობდეს მოაბადს, ვითარცა ძმა და ვაზირი,
წარუდგა შაჰროს ზვიადად, საამო იყო სამზირი,
ცხენდაღმა წიგნსა გადასცემს ზემოდან ქვემო დამზირი,
ნათლად ხედავენ ყოველნი, არ უნდათ ჭოგრი, სამზირი.

შენდობას ითხოვს, რამეთუ ცხენიდან უთხრას სათქმელი,
დიდის თავაზით მისადმი თავსა იხადნა სარქმელი,
„ასრე ბრძანება შაჰისგან მაქვს, მე ვარ მისი განმთქმელი,
ვინცა სხვამ განთქვას, უწყოდეს,
ცეცხლია მისი დამთქმელი.

დღე და ღამ მოვისწრაფოდი, დროს
არ ვკარგავდი ჭამითა,
ბევრი დამვარდა ცხენები, არ მძინებია წამითა,
თვალ-მარგალიტი ძვირფასი მომირთმევია ჯა-

მითა,
ა, წაიკითხე ეს წიგნი, ყოველს შეიტყობ ამითა“.

ბეჭედი მოხსნეს მას წიგნსა, ნახეს სიტყვანი ჰამობდა,
გარნა შაჰროსთვის ის დილა მწართ უმწარესად ღამობდა,
ვით ვირი, მთლად მოკართული, ტალახში ვერას ჩქამობდა,
სხვა დაატეხა თავის თავს, თუმცა კი სხვასა ღამობდა,

იცნა თავისი ნაწერი წიგნს შიგა მოაბადისა,
იწყო წყევანი თავისა, ეგრეთვე მან დამბადისა,
გაება დიდსა მახესა, არ არს დამღწევი ბადისა,
აღარა ძალუძს რამის თქმა, ფერი აქვს ცვალებადისა,

იმ ფიცის წიგნში პირველი ღმრთისა სახელი ეწერა,
შაჰროს ნათქვამი მოაბადს მისთვისვე კვლავ მოეწერა,
მის, სამართლისა მოქმედის, რომლის სიტყვა მან აღწერა,
მარად რომ მართალს შეიქმს და არა ხამს მისი ჩაწერა.

მართლის მოქმედმა უფალმა ყოველგნით უსაზომონი
კაცთ სამართალი უბრძანა, არვინ დაისვას ბომონი,
ცა და ქვეყანა მართალი შექმნა, ისაა მომგონი,
თმისოდენიცა სიმრუდე არ მოგვცა სათაკილონი.

ვითა ქვეყანა სიმართლით შეამკო, შეასურათა,
კაცთაგან ეგრეც მართლის ქმნას ბრძანებს,
ამოსვლას ჭურათა,
მითი გვწინამძღრობს უფალი, მომცემი მართლის სურათა,
ის გვაძლევს ძლევის გვირგვინთა, კაცობრივ დასახურათა,

არა არის რა ამქვეყნად სიმართლისებრი რაიმე,
მართალს მატება არა აქვს, ვერ ვნებს „უი“ და „ვაიმე“,
გარნა არც კლება იცისა, ვერავინ იტყვის: „ვა, იმე!“
სიმართლე მუდამ ერთია, მასთან არ ვუწყი სხვაი მე.

„შაჰრო, მე შენგან სიმართლეს ვეძებ ამდენი წელია,
ესე ხანგრძლივი ხსოვნა მე მრავალჯერ გამინელია,
მზახობას ზედა ვიფიცეთ, გვქონდა ამისი წელია,
შუამდგომლად თვით ღმერთი გვყავს, უბრალო არ კეწელია.

დავწერეთ წიგნი საფიცი ვერვისგან მისაკარები,
რად დაივიწყე აწ ღმერთი, რად დაიხურე კარები,
რად გამიტეხე აღთქმა და ფიცი რად ასამარები,
დაიგვიანებ, უწყოდე თუკი არ მიეჩქარები.

შემირთავს შენი ასული, მეოცდაათ წელს ნაშობი,
ღმერთმა მე მომცა ნაზარდი, ნაფერებ-ნათამაშობი,
სხვაგვარ ღმერთი არ მოგცემდა, მისდაგვარს აწიც ვერ შობი,
მე დია მემხიარულა, არვინ არს ჩემ ხმის ჩამხშობი.

ეს ღმერთმა შემიწყალა და ასრულდა ჩემი იმედი,
რამეთუ გლახაკთ ვუბოძე მე ფასი არამცირედი,
მოწყალებითა ღმერთისგან სამოთხის კარსა მივედი,
აწ ეგ ასული კეკლუცი მეტურფის, ვითარცა გედი,

ეგე ასული ჩემია, შენ მე აღმითქვი ცოლადა,
ამიტომ აღარ მწადიან კვლავაცა შენთან ყოლადა,
შეკრიბე მისი მსახურნი მასთან გამოსაყოლადა,
ჩემი რაც არის – მე მომეც, ჩემს სარეცელზე მწოლადა.

კიდევ იმიტომ მწადია გამომიგზავნო ეგე მე,
რამეთუ ამბად ნათქვამი დია სიმართლედ ვიგე მე,
თქვენი მხარისა ამბავი უკვე ვისმინე, ვიგემე,
სიმართლის კოშკი ნამდვილი სიცრუედ არ ავიგე მე,

თქვენი ყრმანიც და უფროსნიც დედათმოყვარე არია,
კაცთა მრავალჯერ დედათა თავს ღაფი ასხეს მწარია,
თავად დედანიც გულჩვილნი, არა უწყიან ქმარია,
თავ მისცენ ჰამო სიტყვაზედ, არა უწყიან ვარია.

დიაცი, თუნდაც ფრთხილი და გონიერიცა იყოსა,
კაცისა ენით ძაბუნი იქნების, იზამს ბრიყოსა,
კაცი ეფიცის: „ – უშენოდ, ვა თუ მე ბედმა მრიყოსა,
დავუძლურდები ტრფობისგან, ვერ გავექცევი ჩიყოსა.

ძლივსა გიშოვე კეკლუცი, მოვთქვამ დღე, ვტირი ღამეო,
ჰე, ვკვდები სიყვარულისგან, იქნებ მიწამლო რამეო,
დაღრეჯითა ვზი, ვით შმაგი, მოდი, ხმა მაინც გამეო,
მტერიც მიბრალებს, მეწყალვის, მაგრამ კი მაინც ვა მეო.

სიყვარულისგან მოვკვდები, თუკი არ შეგეცოდები,
სულ შენთვის მომიძღვენია მე სიყვარულის ოდები,
შენია ჩემი სვე-ბედი, ტირილი, ოხვრა, გოდები,
მეც ხომ ადამის შვილი ვარ, თუ კაცად არ გეწოდები?“

ამის გამგონე დიაცი, პატიოსნებით ცნობილი,
მაინც მოღორდის, მოყივნდის, ამო სიტყვებით ხმობილი,
უფრთხოდის ამგვარ საქმესა, დედაა თუ დედობილი,
ვერვის ენდობის ვინც იყოს, მეგობარი და დობილი.

მეცა მეშინის ამგვარად საქმისა წარმართებისა,
შენცა გეშინოს ბედისა წინ-უკმო წაღმართებისა,
ველსა ნაჩვევი შედრკება წინაშე აღმართებისა,
მართალთა რწმენას ზოგჯერა ძლევს წესი წარმართებისა.

ნუღარ დაიჭერ ვისის მანდ, გამომიგზავნე გზებითა,
ნუცა ისურვებ გადუდგე მცველებით, ნაგაზებითა,
ნურცა უარის სიტყვებსა ამოჰგლეჯ პირს გაზებითა,
დე, წამოვიდეს სიცილით, სიტკბოთი, განაზებითა.

ნურც ზითევს ნუ შეიჭირვებ, ოქრო და მარგალიტები
მეცა ბევრი მაქვს საჭურჭლეს, ასხია მრავლად კლიტები,
არა მინდარა მის მეტი, მის ნდომას ვერ ვესხლიტები,
უმისოდ ვიცი ვერ გავძლებ, გავხდები, დავიღლიტები.

მას მივცემ ჩემსა საგანძურს, შენცა მოგართმევ მრავლადა,
იმდენს – ქალაქი ააგო, კოშკად, სახლად და თავლადა,
ყველა გაქებდეს, გამკობდეს, შენდა ნატრობდეს გავლადა,
თავსა ვერავინ დაგფრენდეს, ყვავსაც ეშინოს ჩხავლადა.

შენად დაგიწერ ქვეყანას, მოგართმევ მას მამულობით,
მორჭმით დაგსვამ და აზატად დაგიწერ იმას სრულობით,
ვიროს ძმასავით დავიჭერ, არ სწუხდეს ფერწასულობით,
ჩემი გვარისას ცოლს მივცემ, გულსა გავუღებ გულობით“...

პოეტურად გარდაქმნა ანზორ სიფრაშვილმა

გაგრძელება იქნება

შიდა ქართლის სოფლები, ნასოფლარები, მათი ლოკალიზაცია

წერილობითი წყაროების მიხედვით, შიდა ქართლის მხარეში მთელი რიგი გეოგრაფიული სახელებია წარმოდგენილი, რომელთა გამოვლენა, ლოკალიზაცია, ფრიად საშური საქმეა.

ზოგი სახელი ყალიბდებოდა ათასეული წლების განმავლობაში, რამდენიმე დღესაცაა შემორჩენილი, ზოგი, მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების შედეგად, აღარ არის ან სხვა დასახლებას შეერწყა. ზოგმა სახელი შეიცვალა გარედან მოსული ადამიანების მიერ. თითოეული მოვლენა დამახასიათებელია ხსენებული რეგიონის ხევხეობებისათვის, რაც განპირობებულია ბუნებრივი და ისტორიული მოვლენებით.

ასეთ დროს საჭიროა კომპლექსური მიდგომა. აუცილებელია ნასოფლარების, საკულტო ძეგლების, ნაგებობების დალაგება - შედარება, კარტოგრაფიული მასალების მოხმობა, მთელი რიგი ძეგლების მონაცემები.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ შიდა ქართლის ერთ-ერთ ნასოფლარზე.

ნასოფლარი თვალათუბანი

გორის სოფელ შინდისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იგი აღნიშნულია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე.[1]

ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიას“ დართული „დიდი ლიახვით მრწყველი სოფლების“ ჩამონათვალში მეთორმეტე ნომრად აღნიშნულია თვალათუბანი.[2]

როგორც მოქმედი სოფელი, ასევე აღნიშნულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში.[3]

1818 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით სოფელ თვალათუბანში ცხოვრობდნენ: ელიზბარ ციციშვილის გლეხები, გოგია დაბრუნდაშვილი, გაბრიელ ჯობინაშვილი, ცოლი, ძმა დავით, დედა მათა; ბერო სულეიმანაშვილი, ცოლი, შვილები თევდორე, ტეტია; მოსე ხუციშვილი, ცოლი, ქალიშვილი, შვილები დავით, სოსია; ნინია ხუციშვილი, ცოლი, ვაჟი გიორგი; გივი ხუციშვილი, ცოლი, ძმები იორდანე, პავლე, დიმიტრი; ვასილი ლაბარაშვილი, ცოლი, ქალიშვილი; ივანე გოლიტაშვილი, ვაჟები გლახო, სიმონი; თევდორე კაპუხაშვილი, ვაჟები ივანე, სოსია;[4]

როგორც ნასოფლარში ადრე მცხოვრები ინფორმატორი (ი. თვალიაშვილი) გვატყობინებს, დაახლოებით 250 წლის წინათ მათი წინაპრები ცხოვრობდნენ დღევანდელ ნასოფლარ თვალაუბნის ტერიტორიაზე გვარად მაისურაძეები, რომლებიც დაპირისპირებულები იყვნენ მეზობელი საქაშეთის მოსახლეობასთან. ამის გამო მიიღეს გადაწყვეტილება და გადმოსახლდნენ დღევანდელი შინდისის ტერიტორიაზე. მათი გვარის ზოგიერთი პირი შერქმეული გვარით – თვალიაშვილი დარეგისტრირდა – დაფუძნდა შინდისში. მათი ბიძაშვილები არიან როგორც თვალიაშვილები, ისე მაისურაძეები. ხსენებული ინფორმაციის მომცემის მამა, პაპა თვალიაშვილები არიან, ხოლო პაპის ძმის შთამომავლები – მაისურაძეები, ესენი ისედაც ნათესაობდნენ ერთმანეთთან. თვალათუბანში მცხოვრები ხუციშვილები, მახვილაძეები, მთიულიშვილები, კანუხაშვილები მთლიანად გადასახლდნენ სოფელ შინდისში.

ნასოფლარის ტერიტორიაზე დგას წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. თარიღდება გვიანფეოდალური ხანით, დარბაზულია, სიგრძე რვა მეტრი, სიგანე ხუთი მეტრი, სიმაღლე ექვსი მეტრი. რესტავრაცია გაუკეთდა ძველად იქ მცხოვრები შთამომავლების ძალისხმევით 1995 წელს, კერძოდ, მუჭაურისა და არჩილ მთიულიშვილის მიერ.

ნასოფლარში დღესაც არის საფლავის ქვები, რომლებსაც აქვთ წარწერები, მაგრამ მათი ამოკითხვა შეუძლებელია სიძველის გამო. ყოველი წლის 22 მაისს მაისურაძეები და თვალიაშვილები მიდიან ნასოფლარში და იხსენებენ წინაპრებს.

აზნაური მახვილაძეები

იყვნენ სახასო აზნაურები, ძირითადად შიდა ქართლის თავადების დიასამიძეების გამგებლობაში. იოანე ბაგრატიონი აზნაურ მახვილაძეების შესახებ აღნიშნავს: „ამათნი წინაპარნი იყვნენ მონათესავენი ამირაჯიბთა და ეძახდნენ ჯავახეთის კერძო მთისა მახვილად წოდებულსა, რომელსა გამო გაუგვარდათ ესე სახელი მახვილობა, დროსა ერეკლე მეფისასა წელსა 1621-სა ცედანს სოფელს მოვიდნენ და დაეშენენ სურამის, კერძოდ და მუნითგან გაუგვარდათ გვარი სახელისა გამო და ცხოვრობენ ქართლსა.“[5]

მახვილაძეები ძირითადად ცხოვრობდნენ სოფელ საქაშეთში, რომლის მამულები ასევე შეჭრილი იყო თვალათუბნის მიდამოებში და, ბუნებრივია, აღნიშნულ სოფელშიც ჰქონდათ მფლობელობა.

როგორც ჩაწერილი მასალები გვამცნობს, ამ ორ დასახლებას დავები ჰქონდათ როგორც მამულზე, ისე წყალზე, რის გამოც ხშირი იყო კონფლიქტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა გვარებთან ერთად თვალათუბნელი მახვილაძეებიც შინდისში გადასახლდნენ. დღეს სოფელში მახვილაძეების ოთხი ოჯახია: ნოდარის შთამომავლობა, კახაბერი, დიმიტრი, თამაზი, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი გვარის წარსული და სიამოვნებით იხსენებენ წინაპრებს.

ზემოხსენებული დიასამიძეები ქართლის თავადები იყვნენ, რომლებიც ქართლში სამცხიდან არიან მოსულნი XVI საუკუნის საბუთში: „კათალიკოსის სამწყსონი თავადნი და სოფელნი სამცხე-საათაბაგოში აღნიშნულია: „ღობურნი სასაფლაოთა, მონასტერითა და კარის ეკლესიითა დიასამიძეთა აქუს“ (ქსძ, 1965:33).

შიდა ქართლში დიასამიძეები ძირითადად ზემო ნიქოზში ცხოვრობდნენ, 1626-1679 წლების საბუთებში დასახელებულია კაცია დიასამიძე და მისი ძმა დიასი, ასევე მამულები ჰქონდათ ფრონეს ხეობის სოფელ დვანში და შიდა ქართლის სოფელ შინდისში, ტყვიავში, საქაშეთში. დიასამიძეები ასევე ცხოვრობდნენ იმერეთშიც.

1804 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით შინდისისა და თვალათუბნის მამულებს ფლობდნენ თავადი მაჩაბლები, ციციშვილები, აზნაურები: მახვილაძეები, მირზაშვილები, გარსევანიშვილები.

ზემოხსენებულ დოკუმენტებში დასახელებულნი არიან: მიხეილ მაჩაბელი, ესტატე ციციშვილი, ღვთისაი მირზაშვილი, ნიკოლოზ გარსევანიშვილი და სხვები. ამ უკანასკნელი გვარის წინაპარია ბერძენი ღვთისმსახური ფილიმონი, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა თავის ქალიშვილს ელენეს როცა საქართველოს მეფის ბაგრატ IV- ის მეუღლე გახდა, მზითევში გამოაყოლა და ამავე დროს იყო ოქონის ხატის მცველი. ბაგრატ მეოთხემ ფილმონს უბოძა აზნაურობა და ამოწყვეტილი აზნაურის გარსევანის მამულები უბოძა და გვარიც აქედან მიიღეს – გარსევანიშვილობა. ამჟამად შინდისში ამ გვარის 7 ოჯახი ცხოვრობს.

გორიჯვრის უბანში თვალათუბნიდან შინდისში გადმოსახლებული კანუხაშვილების სამი ოჯახი ცხოვრობს და იწოდებიან, როგორც კანუხაანთი.

თვალათუბნიდან არიან ასევე შინდისში გადმოსული მთიულიშვილები. როგორც ინფორმატორი მოგვითხრობს, მათი გვარი არის არაგვის ხეობიდან, კერძოდ, მთიულეთიდან და გვარიც ამის მიხედვით არის ნაწარმოები.

დღეს შინდისში ასევე გადმოსახლებულია სოლომონაშვილი, სულ ორი ოჯახი და ხშირად მიდიან ძველ საცხოვრისში წმინდა გიორგის ეკლესიაში. ამ გვარის ადამიანები ძველად იყვნენ სულეიმანაშვილები, დღეს სოლომონაშვილებია.

შინდისში მცხოვრები ხუციშვილებიც მოსულები არიან თვალათუბნიდან და იწოდებიან როგორც ხუციანთი.

ნასოფლარ თვალათუბნისა და სოფელ შინდისის შესახებ შინდისის მკვიდრმა გიორგი გარსევანიშვილმა 2015 წელს გამოაქვეყნა გზამკვლევი სათაურით „შინდისი და შინდისელები“. 1818 წლის რუსული კამერალური აღწერის მიხედვით, სოფელ თვალაუბანში ცხოვრობდნენ:

ელიზბარ ციციშვილის გლეხები: გოგია დაბრუნდაშვილი.

გაბრიელ ჯობინაშვილი, ძმა დავითი და დედა მათა.

ბერო სულეიმანაშვილი, ცოლი, შვილები თევდორე, ტეტია.

მოსე, ნინია, გივი ხუციშვილი და მათი შვილები.

ვასილ ლაბარაშვილი, რომლის შთამომავლებიც დღეს სოფელ შინდისში იწერებიან ლაბარაშვილებად.

ივანე გოლიტაშვილი, დღეს იწერება გულიტაშვილად.[6]

ნიკოლოზ ოთინაშვილი
გიორგი გარსევანიშვილი

[1] ვახუშტი. რუკები . 1745.

[2] ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, თბ, 1997, გვ.207.

[3] ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ, 1986, გვ. 41.

[4] ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა, XIX საუკუნის პირველ ოციანებში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გსსუ, 2021, გვ. 505.

[5] ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, გვ. 61.

[6] ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა, XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გსსუ, 2021, გვ. 507.

ДЕДОФАЛИ ТАМАР ГАЧЕЧИЛИ – МЕФЕ ДАВИТ X - ІС МЕПЕТЕ,

КАХАБЕР ГАЧЕЧИЛИ

მეთხუთმეტე საუკუნიდან, საქართველოს თავზე შავი ღრუბლებია მოჯარული. ქვეყანას განადგურებას უპირებს ვეება სპარსეთის იმპერია. აქვე, დასავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით, ოსმალეთის იმპერია წამოიმართა ევროპის და ევროპული ცივილიზაციის საფრთხედ. „ჩვენ ბიზანტია დავიპყარით, რომელიც არის მეორე რომი, მაგრამ ჩვენ მალე პირველ რომსაც დავიპყრობთ!“ – ეუბნება ოსმალეთის იმპერიის ცნობილი ელჩი, იანჩარყოფილი, რომის კარდინალს პაპის მოსაცდელში! ეს ხდება, ეგრეთ წოდებულ „კასტელ დელა ანჯელოს“, ანუ ანგელოზების ციხე-დარბაზის სასახლეში, რომელიც რომს გადაჰყურებს. კასტელ დელა ანჯელოდან რომი მოსჩანს, როგორც ჯერაც მიუღწეველი, ხარბი დრტვინვა ოსმალო ელჩისა.

სხვათა შორის, ეს ოსმალო ელჩი არ არის მთლად თურქი, თურქმანი ან თურქოპულო, როგორც ამას შუასაუკუნეებში ამბობდნენ. ეს ელჩი, როგორც უმეტესი იანიჩარი, კავკასიიდანაა, იგი მესხეთის ანუ საქართველოს გულის წარმომადგენელია. ცნობილი დიპლომატი, ოსმალთა კარზე დაწინაურებული, ალი ეფენდი, სწორედ ის ქართველია, რომელიც იანიჩართა კორპუსში აღიზარდა, შემდეგ სასწავლებელში შევიდა, სადაც უმაღლესი დიპლომატია შეისწავლა და ახლა ის, ოსმალეთის სულთნის საიდუმლო წინადადებებით აღჭურვილი პირია ვატიკანში.

„ – სულთანი სერიოზულად ლამობს რომის ხელში ჩაგდებას, ბატონებო!“ – ამბობს რომაელი კარდინალი ბორჯია და პაპს შეჰყურებს. პაპი ფიქრობს, როგორ შემართოს ფრანგთა და ესპანელთა ალებარდები და მუშკეტები, ოსმალთა იატაგანებისა და განთქმული არტილერიის წინააღმდეგ, ვინ დაიქირაოს გენერლად, რომ ოსმალები დაამარცხოს კვიპროსსა და კრეტაზე, რათა არ მისცეს აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრის საშუალება.

ურთულესი წამი უდგას ევროპასა და ევროპულ ცივილიზაციას, რადგანაც მონობაში გამოწვრთნილი ოსმალო, უდიერად უყურებს ევროპულ სიბრძნეს, ერაზმ როტერდამელისა და თომაზო აქვინელის ფილოსოფიას! მონტენი უკვე წერს თავის ფიქრებს, გარგანტუაზე უკვე ფიქრობს ფრანსუა რაბლე, ევროპა უკვე დემოკრატიას და ლიბერალიზმს ეძიებს, ოსმალო კი მონაა! მონას მხოლოდ პატრონის მათრახი და სამხედრო ნადავლი უვლენს ტუჩებზე მოწოლილ სისხლნარევ დუჟს.

***

ამ დროს ერთიანი საქართველო, თითქმის არსებობს და არც-არსებობს. ოდინდელი დიდება ქართველთა აქა-იქ კიდევ ბჟუტავს. სამხდრო ლაშქრობები თითქმის არ ხორციელდება. ეგრეთ წოდებულ „შეოშეს“ (ფრანგულად: ლაშქრობა) ახორციელებს ყვარყვარე ათაბაგი, რომელიც თავის ერთგულ ვაჭარზე ზრუნვას იმდენად გაუტაცნია, რომ იგი აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქში შეჭრას გეგმავს. „ – ვასახელე სახელი ქართველთა“ – ამბობს ათაბაგი ყვარყვარე დიდი, რომელიც გადაჭრის მთელს ყარაიას ველს და აზერბაიჯანის სახანოებს დაეცემა რჩეული 500 მეომრით. აზერბაიჯანის სახანოები აზრზე მოსვლას ვერ ასწრებენ. 500 რჩეული მესხი ვაჟკაცი უეცრად გადაივლის ყარაიას გაუდაბნოებელ ტერიტორიას და როდესაც აზერბაიჯანში მესხებს შეამჩნევენ, უკვე გვიანია. თავად ყვარყვარე კვიცზე ზის. კვიცი წინ მიხტის, თავშეუკავებელია. ყველა რჩეული მესხი კვიცზეა ამხედრებული. რის გამოც მათი სვლა ძალიან სწრაფია.

ელვისებური დარტყმით ყვარყვარე აზერბაიჯანის ქალაქ არეშში შედის, მესხი ვაჭრის გამაწბილებელს ყურებით თავისსავე დუქანზე მიაჭედინებს და ცხენს ისე მოატრიალებს, რომ არეშელების ერთ მისხალსაც ხელს არ ჰკიდებს.

ამგვარი რაინდული ლაშქრობის შემდეგ მესხებისა და ყვარყვარე ჯაყელის სახელი ერთი ორად მატულობს მთელს კავკასიასა და მცირე აზიაში. შემდეგ უკვე 100 წელს მიტანებული ყვარყვარე ჯაყელი თურქებს შემოუტრიალდება. აი რას ამბობს იმდროინდელი სომეხი მემატიანე ყვარყვარეს ამ ლაშქრობაზე: „აი წამოვიდა პატრონი ყვარყვარე 30 000 მხედრობით და ქალაქი არზრუმი ხელში ჩაიგდო“. ოსმალებმა არზრუმიდან სასწრაფოდ უკან დაიხიეს. შემდეგ ყვარყვარეს კიდევ ერთი ლაშქრობა მოუწყვია არარატის მხარეში: დაიბანაკა მისმა სამხედრო ძალამ ამ წმინდა მთის მიდამოებში და იქიდან თურქებზე იერიშები დაიწყო. სომხები გახარებული იყვნენ, რომ ყვარყვარე მათ საუკუნოვან მტერს ასე წარმატებულად ამარცხებს და არარატიდან ასახლებს.

ამავე დროს ათაბაგი ყვარყვარე ჯაყელი, თავისი დროის ყველაზე დიდი ქართველი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, კარგად გრძნობს ოსმალთა სამხედრო მანქანის სიზუსტეს და აღმატებულობას. იგი მისწერს ბურგუნდიის მთავარს, საფრანგეთის მეფეს და ესპანეთის იმპერატორს წერილებს, სადაც ამ უკანასკნელთ აფრთხილებს: „თუ ჩვენ ერთად არ ვიმოქმედეთ, ოსმალო სწრაფად ძლიერდება და შემდეგ მას ვერაფერი ძალა ვერ დაამარცხებსო“.

ყვარყვარე ათაბაგი ევროპელია თავისი აზროვნებით. იგი ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებს ჰპირდება, რომ გამოვა თავის მხედრობით, აქვე იქნებიან ქართლის მეფე კონსტანტინე, სამეგრელოს მთავარი, იმერეთის მეფე, სომხეთის მთავარი ბერდიბეგი, შავბატკნიანთა სულთანი უზუნ ჰასანი და ყვარყვარეს ნათესავი დავით ტრაპეზუნის იმპერატორი.

ასი ათასი კაცის გამოყვანა იკისრეს ამ მოლაპარაკების დროს ქართველებმა. ყვარყვარე ამ მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია. ისიც უნდა ითქვას, რომ ჯაყელი ამ მოლაპარაკებებში თავის თავს ქარციხეს ჰერცოგს და ყოველთა მესხთა ათაბაგს უწოდებს. მესხთა ტომი მთელს ანატოლიაშია განფენილი, მესხები არიან არა მარტო სამცხის მკვიდრნი, არამედ მთელი სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა. მესხები არიან ასევე კაპადოკიის მკვიდრნი და მათ მიმართ აქვს ამბიციური ხედვა ათაბაგს.

ყვარყვარე ჯაყელი 77 წლის ასაკში დაქვრივდა. რადგანაც ქრისტიანი კაცი იყო და სისხლიც უდუღდა, მეუღლის ერთწლიანი გლოვის შემდეგ, მან კვლავაც დაოჯახება გადაწყვიტა. მაშინ 16 წლის ბაგრატიონ ქალს დაადგა ყვარყვარემ თვალი და სამცხის დედოფლად, ნესტან დარეჯანი აირჩია. დედისიმედთან უკვე ხუთი შვილი რომ ჰყავდა, ახლა ნესტან დარეჯანთან ყვარყვარეს 3 ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინათ. სწორედ ეს ქალიშვილი, სახელად თამარი არის ჩვენი თხრობის მთავარი გმირი, რადგანაც თამარს არგუნა ღმერთმა ბედი, გამხდარიყო მეფე დავითის მეუღლე და ეშვა დიდი მეფე ლუარსაბი, ასევე ყოფილიყო ბებია სიმონ მეფისა. რაც შეეხება ყვარყვარე ჯაყელს, მისი გავლენა იმდენად დიდი იყო სახრეთ კავკასიაზე, რომ ისტორიკოსები თუ მემატიანენი, წელს აღარ ჩაინიშნავდნენ და ასე წერდნენ „ყვარყვარეს ათაბაგობის მეათე წელს...“ ან „ყვარყვარეს გარდაცვალებიდან მეთორმეტე წელს“.

ყვარყვარე მართლაც დიდი სარდალი და უშიშარი მეომარი იყო. იმდროინდელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთაგან, მას სიბრძნით და ენერგიულობით ვერავინ დაუდგებოდა წინ. იგი, როგორც ჩანს, მეფობას ელტვოდა. მეფეები ყველა დამარცხებული ჰყავდა, მაგრამ მათთან ერთად ანტიოსმალური კოალიციის შეკვრას ესწრაფოდა. იგი ახალციხის ზარაფხანაში ჭრის მესხური ვერცხლის მონეტას. ყვარყვარეს სიქველეებიდან ერთ-ერთი მთავარია ოსმალთა შეჩერება, ქალაქ არზრუმის დაპყრობა და შავიზღვისპირეთში არაერთი წარმატებული ლაშქრობის მოწყობა. ამ ენერგიულ კაცს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა – იგი მესხეთის გამოყოფას ესწრაფოდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტიდან და მის მიერ დამშვენებულ აწყურის ტაძარში სურდა მესხთა დამოუკიდებელი კათალიკოსი დაესვა, მაგრამ მის ამ ამბიციას ბოლო მოეღო.

***

სწორედ ახალციხეში, ათაბაგ ყვარყვარეს ოჯახში, დაიბადა თამარი, რომელიც შემდეგ ქართლის დედოფალი გახდა და რომელმაც ბაგრატიონებთან ერთად საფუძველი დაუდო სახელოვან დინასტიას ძლიერი მეფეებისა!

ქართლის მეფე დავით X ბაგრატიონი კონსტანტინე II -ს ვაჟი იყო. თავად კონსტანტინე მუდმივად ებრძოდა ჯაყელ ათაბაგებს. 1465 წელს, მეფე კონსტანტინე და მისი ბიძა მეფე გიორგი VIII, ორივე ერთად, ტყვედ ჩაუვარდნენ ყვარყვარე ათაბაგს, რომელმაც ისინი ახალციხის რაბათის ერთ-ერთ ჯურღმულში ჩასვა. მეფეები ახალციხისაკენ ლაშქრობას აპირებდნენ და შუა გზაში თავად ყვარყვარე დაესხა მათ თავს. ბაგრატიონთა სამეფო ბანაკი გაავერანა. იცოდა რა, რომ ქართლისა და იმერეთის ჯარი ამ ბრძოლის დროს მგზავრობით იქნებოდა დაღლილი და დიდ სიგრძეზე გაჭიმული, ყვარყვარემ ცენტრში მიიტანა იერიში და ის ადგილი, სადაც მეფეები იმყოფებოდნენ, მყისიერად აღმოაჩინა.

კონსტანტინე მეფე, ყვარყვარეს ტყვეობიდან ლეკების დახმარებით გამოიქცა. ზამთრის ერთ-ერთ თოვლიან ღამეს, ლეკებმა კონსტანტინე მეფეს კარები გაუხსნეს და ციხის მაღალი გალავნიდან მეფე თოკით ჩამოუშვეს. მტკვარზე მეფეს თავის ერთგული ზედგინიძეები ელოდნენ. მეფემ მოახერხა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ მას, დედაქალაქში გამეფებული ბაგრატი დახვდა. კონსტანტინემ ახლა უკვე ქუთაისისაკენ გაქუსლა და იმერეთში გამეფდა, შემდეგ კი ქართლის დაუფლება მოახერხა და ქართლის მეფედ ეკურთხა.

ყვარყვარეს მეორე გვირგვინოსანი პატიმარი გიორგი VIII სულ სხვანაირად მოიქცა, მან გაქცევას ისევ ათაბაგთან დამოყვრება ამჯობინა (ამ ისტორიას შემდეგ მოგითხრობთ).

***

ამ ამბიდან 15 წლის შემდეგ, კონსტანტინე მეფის ერთგულმა, ზედგონიძე-ამილახვრებმა თითქოსდა შეამჩნიეს, ათაბაგის მცირე რაზმის გადაადგილება, ქართლში, ბრეთის თემში, ქარელთან სიახლოვეს და სამთავისის ტაძარში მყოფ მეფეს ამის შესახებ მყისვე მოახსენეს: „ჩემო ამილახვრებო, ათაბაგი არსად გაუშვათ და მე ჩემი ჯარით მოვალ!“ – უბრძანა თვალებგაბრწყინებულმა კონსტანტინემ ამილახვრებს, რომლებსაც ბრეთის თემთან ჩასაფრებული ქართლის ლაშქარი ნახევარმთვარისებურად ჰყავდათ დაწყობილი და ყვარყვარეს კაცს ელოდნენ მოსალაპარაკებლად. „ათაბაგი ან აქ მოკვდება, ან ტყვედ მოგგვრით მეფეო!“ – დაიქადნეს ზედგინიძე-ამილახვართა სათავადოს წარმომადგენლებმა და ყვარყვარეს ბანაკს სიცილით გახედეს.

***

ბრეთთან ჩამუხლული მესხთა ბანაკი საბრძოლველად ემზადებოდა. თავად ცხელსისხლიანი ყვარყვარე თავის რაზმელებს დასტრიალებდა, ბიჭებს ამხნევებდა, წინაპრებსა და გვარს უქებდა, კოპაძეებს პირველ შემტევებად ნიშნავდა. „თქვენი წინაპარი ჩემს პაპებთან ერთად მონღოლს ცხვირიდან სისხლს ადენდა, აბა ჰა, დაჰკარ ბიჭებო!“ – ამხნევებდა ბუმბერაზი ყვარყვარე და რკინის კვერთხს იქნევდა. მოლაპარაკებაზე მოსული, შეჯავშნული ქართლის ეპისკოპოსი.

„ – დაგვნებდი ათაბაგო ყვარყვარევ, რადგანაც, ძალა აღმართს ხნავს!“ – მკაცრად გაუმეორა ეპისკოპოსმა. ყვარყვარეს სახე კუშტი და შეუვალი გაუხდა, მისი ყვრიმალები ცეცხლისფერი გახდა და მოლაპარაკება ქართველთა შორის უშედეგოდ დასრულდა.

***

ბრეთთან ახლოს სოფელი არადეთია. სწორედ ამ სოფლის მიდამოებში შეებნენ ერთმანეთს სამცხელნი და ქართლის მეფის ლაშქარი. ათაბაგის ამილახორი, ცალხელა შამადავლე, რკინის მკლავით იგერიებდა ქართლელთა შემოტევას, შემდეგ შამადავლემ თავის ნაცად ხერხს მიმართა, ქართლელ თავადს ხმალი ისე გააგდებინა, რომ მახვილს თავადის შეჯავშნული მარჯვენაც მიჰყვა. „შეჯავშნული ხელი გააგდებინა შამადავლემ ქართლელთა მოწინავეს!“ – შეჰყვირეს მესხებმა და მეფის ლაშქარს გულმოცემული ეძგერნენ. ამ დროს დაღონებული მესხთა ამილახორი შემოტრიალდა და ბრძოლის ველს ცოცხალ-მკვდარივით გაეცალა. ვერავინ გაბედა შამადავლეს შეჩერება.

გრძელწვერა მესხი ამილახორი მოუყვებოდა ბილიკს და მის გვერდით სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულ აზნაურებს ველარც ამჩნევდა. შამადავლეს თვალი მოჰკრა რკინის კვერთხიანმა ყვარყვარე ათაბაგმა და მასთან მიაჭენა კვიცი – „დაჭრილი ხომ არ ხარ, ჩემო ამილახორო?“ – იკითხა ათაბაგმა. „ – ეეჰ, ათაბაგო, ნეტა მართლა დაჭრილი ვიყო. საქმე იმაშია, რომ ქართველ კაცს ხელი მოვკვეთე“ – თქვა დაღონებულმა მესხმა და ათაბაგს ცრემლიანი თვალი მოარიდა.

ბრძოლის ველზე მესხური სიმღერა გაისმა, შამადავლეს ყოჩობით გამხნევებული მესხები სჯაბნიდნენ ქართლის სამეფო ჯარს. „ – გვეყო ბრძოლა და სისხლისღვრა, წავიდეთ ახალციხისაკენ, წინ ვეღარავინ დაგვიდგება ახლა!“ – ბრძანა ათაბაგმა და კვიცი არადეთის გორაკზე ააჭენა.

***

ქართლელთა ჯარი გარბოდა. მეფემ მეორე დიდი მარცხი იწვნია. ისიც გარბოდა. მაგრამ აღარ იცოდა, სად უნდა დაბანაკებულიყო. საქართველო აღრეული იყო. მეფე თავის სულიერ მოძღვართან – მამა ნილოსთან მიეშურებოდა. მას სირცხვილი აწუხებდა. ყვარყვარე საოცრად ეჯავრებოდა და ჯაყელების დინასტიის დაუძინებელი მტერი იყო.

მცხეთაში რომ მივიდა, მაღალი კოშკიდან გადმომყურე მცველმა შეამჩნია მეფის რაზმი და კარები განიხვნა. კიბეზე მე-

ლეონრსაბ I-ის ლეღა და სიმონ I-ის ბებია

ფის მოძღვარი ნილოსი ჩამოდიოდა. „ – შვილო, გელოდი“ – თქვა მეფის ერთგულმა ხუცესმა და თვალცრემლიან მეფე კონსტანტინეს გადაეხვია. „ – დაჭრილი რომ არ ხარ, მეფეო“ – იკითხა მან. „ცოცხალი ვარ, ჩემო ნილოს, არავინ მინდა ახლა, შენ დამიჯექი თავთან და 90 -ე ფსალმუნი წამიკითხე „— თქვა მეფემ და ტახტზე დავარდა. მეფეს უმალ მიეჭრნენ დედოფლის მსახურნი, მას გახადეს ჯაჭვ-კურტაკი, შეხსნეს ზარადი, მობანეს სისხლი, განბანეს იგი და მეფის მოსასვენებლად მოემზადნენ.

„ – უფლისწული მოუყვანეთ მეფეს“ – თქვა ნილოს ბრძენმა და დედოფლის სეფექალმა დარეჯანმა წითელლოყება ბიჭი შემოაბრძანა დარბაზში. მეფემ ერთი წლის უფლისწულს შეხედა: „ – მოდი, მამი... დათუნა“ – მოეფერა მეფე და ბიჭი მკერდზე დაისვა. ბიჭმა მამას ლოყაზე და ხელზე აკოცა. „რომელ დამკვიდრებულ არს შეწევნათა მაღლისათა საფარველსა ღვთისა ზეცათაისა განუსვენოს ....“ – დაიწყო ხუცესმა ფსალმუნის კითხვა და კონსტანტინე მეფემ ცრემლით სავსე თვალნი დახუჭა.

***

დავითი უკვე 23 წლის იყო, როდესაც მამამისს მეფე კონსტანტინეს, ცხელება შეეყარა. დასტაქრები და ექიმ-მეცნიერნი მეფესთან მოიწვიეს, მაგრამ, როგორც ჩანს, აღარაფერი უშველიდა ქართლის მეფეს კონსტანტინეს. იგი 1505 წელს აღესრულა. დავითის მეფედ კურთხევის ცერემონიალი სვეტიცხოველში გაიმართა. კათალიკოსი, ბერ-მონაზონნი, თავადნი და აზნაურნი შეჯავშნილ-შეიარაღებული იდგნენ სვეტიცხოვლის დიდი სტოას ქვეშ და ყოველ წუთს ელოდნენ მეფე-მთავრების შემოტევას.

***

დავით X, მეფე ქართლისა, მუდმივ ბრძოლებში იყო თავის ორ ბიძაშვილთან. იმერეთიდან მას ალექსანდრე, ხოლო კახეთიდან მეფე ავ-გიორგი ესხმოდა თავს. მეფეს მირანგული მოეწონა, დავით ბარათაშვილის ასული. სახელგანთქმული მირანგული ქართლის ცნობილი და ყველასათვის საყვარელი დედოფალი გახდა, მაგრამ სულ მალე დედოფალს უცხო სენი შეეყარა და იგი უცნობ ვითარებაში გარდაიცვალა. დავით X დაქვრივდა. ქართლი წუხილმა შეიპყრო. გორი უეცარი იერიშით ჩაიგდო ხელში იმერთა მეფემ ალექსანდრემ, ხოლო თბილისს კახთა მეფემ შემოუტია. თავადების თხოვნით, მეფეს ძლიერი მეზობლის ასული უნდა შეერთო ცოლად. პოლიტიკური ქორწინება ნამდვილად გამართლებული იყო.

***

სამცხე-საათაბაგოში ჯაყელთა კარზე მშვიდობა სუფევდა. 1498 წელს მიიცვალა ათაბაგი ყვარყვარე II, რომლის სამხედრო და პოლიტიკურ ამბიციებს ოსმალნიც კი უფრთხოდნენ. საათაბაგოს ტახტზე ქაიხოსრო I ავიდა. ომებზე და ლაშქრობებზე შეყვარებულ ყვარყვარეს შემდეგ, ვრცელი ქვეყანა მესხეთისა, მშვიდობამ მოიცვა. ქაიხოსრო I ჯაყელი, ბრძენი მმართველი იყო. მის სამართალსა და სიბრძნეს ყველა აღნიშნავდა. მხოლოდ სომეხი ვაჭრების კორპორაცია იყო განაწყენებული ქაიხოსრო ათაბაგის პოლიტიკის გამო. მატენადარში დაცული ერთი ხელნაწერი გვიმხელს, სომეხი ვაჭრების პოზიციას ათაბაგის შესახებ: „ქაიხოსრო სპარსელ ვაჭრებს გამორჩეულ ადგილს ანიჭებს თავის ქვეყანაში, ხოლო სომეხ ვაჭრებს – ყოველგვარად ზღუდავს და აღარიბებსო“ – ამბობდა ერთი არარატელი. მართლაც, ამ პერიოდში, სავაჭრო კორპორაციები აბრეშუმის გზაზე დამკვიდრების იდეას მოეცვა. სპარსეთი და მისი სავაჭრო საქმეები ძლიერდებოდა. თუ ადრე ყვარყვარე მეორე ჯაყელი აზერბაიჯანშიც კი ლაშქრობდა მესხი ვაჭრების დაცვისათვის, ახლა ქაიხოსრო, რატომღაც ირანელ ვაჭრებს აძლევს ბაზარს, რაც სომხებს აგულისებდა. თავად მესხი მსხვილი ვაჭრები ბექას და აღბუღას სამართლის ძალით გათანაბრებული იყვნენ აზნაურებთან. როგორც ჩანს, ოსმალთა მზარდი სამხედრო და ტერიტორიული აგრესიის მოსაგერიებლად ათაბაგს დამხმარედ სპარსეთი მიუჩნევია. ერანი უდიდესი სახელმწიფოა. მისი თოფ-იარაღი განთქმულია. ერანის ტახტზე შაჰები ათაბაგთან მეგობრობას არჩევენ. სამცხე-საათაბაგო ორ იმპერიას შორის არის გამომწყვდეული. ერანის ლომი და ოსმალეთის ჯიქი კბილებს ილესდნენ. სწორედ ქაიხოსრო ჯაყელის დას დაადგა თვალი მეფე დავით X-მ. ათაბაგ ყვარყვარე ჯაყელისა და მის თანამეცხედრეს ნესტან-დარეჯან ბაგრატიონის ასული თამარი 15 წლის იყო. სამცხისაკენ მალემსრბოლი გაფრინდა და მასვე მიჰყვა დავით მეფის აღმზრდელი, ქართლის სამეფოს სარდალი, დავითი და ბოსტონ-ქალაქის ეპისკოპოსი დამიანე.

***

ბაგრატიონთა და ჯაყელთა დამოყვრება ყოველთვის დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო საქართველოსა და მახლობელი ქვეყნებისთვის. სამცხე-საათაბაგო 1515 წლისათვის ყველაზე დიდი ქართული სახელმწიფო იყო იმდროინდელ კავკასიაში. ახალციხე კი – ყველაზე დიდი ქალაქი. სიმშვენიერე ახალციხისა და მისი ციხისა, ერთ-ერთი თვალსაჩინოება გახლდათ სამცხე-საათაბაგოს 50 დიდ და პატარა ქალაქებს შორის. ყვარყვარე II ეწოდა შადრევნებისა და მოედნების მშენებლობასა და ქალაქური ცხოვრების განვითარებას. ახალციხეში ვაჭრები თავს შესანიშნავად გრძნობდნენ. აბრეშუმის გზის ახალციხური მარშრუტი მეტად მომგებიანი იყო, რადგან ათაბაგი თავისი ხმლით იცავდა მას და ყველა იმ მესხ თუ უცხოელ ვაჭარს, რომელიც ახალციხის გზით საქონელს ევროპაში ან აზიაში გაიტანდა. დიდი ათაბაგის რიდი კავკასიაში ყველას ჰქონდა. თავად ბაგრატიონი მეფეები ახალციხეში იზრდებოდნენ ათაბაგთან.

საკანონმდებლო წიგნში, რომელსაც ბექა-აღბუღას კანონების კოდექსი ეწოდებოდა, კარგად იყო განსაზღვრული ყველა რანგის მოხელისა და დიდებულის უფლებები. განსხვავებით აზიის საკანონმდებლო ძეგლებისა ბექა-აღბუღას სამართალში ვაჭართა უფლებები განსაკუთრებით იყო დაცული. ამიტომაც დოვლათი უხვად შემოედინებოდა ახალციხის ხაზინაში ამ ვაჭრებისაგან.

ათაბაგებს დიდი სიმდიდრე ჰქონდათ დაგროვილი. ბექა აღბუღას სამართლის წიგნში პირდაპირ იყო ჩაწერილი არა მეფე, არამედ „პატრონი ჯაყელი“. სამცხის ათაბაგს ყველაზე საუკეთესო ცხენი უნდა ჰყოლოდა მთელს კავკასიაში. ეს ამბავი ცნობილი იყო კავკასიის ფარგლებს მიღმაც-კი. აზიის მბრძანებლები მუდამ ამოწმებდნენ თავიანთ სიძლიერეს იმ ცხენების რემით, რასაც ისინი ბრძოლაში და მგზავრობის დროს, ან დოღზე, ან მარულაზე იყენებდნენ. ბაიბურთსა და ბურსაში გამართულ ცხენოსნობის შეჯიბრებებში მუდამ სამცხის ათაბაგების ცხენები იმარჯვებდნენ.

***

„– ძმებთან ერთად პატარძალი მობრძანდება!“ – შესძახეს თბილისის ქონგურებზე და ქართლის ჯარი საზეიმო მწყობრით დაიძრა ახალციხიდან მომავალი სადედოფლოს შესახვედრად. ქართლის ჯარს წინ მიუძღოდა მეფე დავით X ბაგრატიონი, რომელიც თავის მომავალ მეუღლესთან შეყრას ელოდა. ჯვრისწერა სიონის ტაძარში გაიმართა. უამრავი ხალხი ხარობდა სამეფო ქორწილს და ქართლს მარადიულ მშვიდობას უქადოდნენ უცხოელი ვაჭრები და მოგზაურნი. თბილისის ციხეში დიდი ქორწილი გაჩაღდა. დავით მეფის სასახლეში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მესხთა ცხენები ქალაქის მეიდანზე დაჭენაობდნენ, ყანწებით „შეიარაღებული“ მესხი დარბაისელნი და აშუღნი თავიანთ პოეზიას უხვად აფრქვევდნენ და მეფე-დედოფალს ლოცავდნენ. მეფე დავითი მაღალი და წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო. მის გვერდით იდგა დედოფალი – ძვალმსხვილი, წაბლისფერთმიანი, მშვენიერი ტუჩ-კბილით გამორჩეული, მაღალყელიანი და ახოვანი – ათაბაგის ქალი თამარ ჯაყელი. სამცხიდან მოსულ თამარს უქებდნენ განათლებას. ახალციხეში მიღებული ცოდნა, იმ დროს, საუკეთესოდ მიიჩნეოდა. თამარი ტრაპეზუნტის ბერძნულ აკადემიაშიც სწავლობდა. თამარს მწერლობასაც უქებდნენ. ყვარყვარე ათაბაგის უმრწმესი ასული ცხენკეთილობით და სამხედრო ზნეთი გამოირჩეოდა. „უცთომლად ისვრის ისარს, იბრძვის ხმლითა და დაშნით, კდლეებზე ცოცავს, ტყეს იცნობს და ქვაბულებში ეძებს უკვდავების წყალს, სნეულთათვის“ – ამბობდნენ თამარ ჯაყელზე. სამცხელ თამარს ძმები ჩამოჰყვნენ! მართალია ათაბაგი ქაიხოსრო ახალციხეში დარჩა, მაგრამ თამარს გვერდით მისი მეორე ძმა ედგა, ეს იყო სიმამაცით განთქმული მზეჭაბუკ ჯაყელი, მას გვერდს უმშვენებდა ვეება ტანის მართალიხონი, შემდეგ იანქო, აქვე იდგნენ თამთინ, საზუერელ და სალუყაზან, რომლებიც განსაკუთრებით თავს ევლებოდნენ დაიკოს. ქორწილში დაგვიანებით გამოჩდნენ თამარის კიდევ ორი ძმა – ორავჟანდა და მანუჩარი. ორავჟანდა ჯაყელი ოციოდე კაცით თბილისში სეიდაბადის კარებიდან შემოვიდა და საქორწილო სასახლეში შესულმა დედოფლისა და მეფის ფერხთით მოვერცხლილი გიშრის თვლები მიმოაბნია, მეფე-დედოფალს თავი დაუხარა და სიძეს თაყვანი სცა. რაც შეეხება მანუჩარს, იგი მარტო მოჭენდა აწყურის ციხიდან, საქორწილო დარბაზში შევიდა, ყანწი მოითხოვა და მეფე-დედოფალს შოთას ლექსით მიმართა. დარბაზი ახმაურდა, როდესაც მანუჩარმა ყანწი დაცალა და სიძეს ბუხარაში მოჭედილი ხმალ-ხანჯალი მიართვა საჩუქრად. მეფე დავითმა დახედა იაგუნდისა და ფირუზის თვლებით მოჭედილ ხმალ-ხანჯალს, ოდნავ თავი დაუკრა ცოლისძმას და მესტუმრეთ უხუცესს ანიშნა, შედლუხი გამართეთო. მესტუმრემ ციხის გალავანზე შემომჯდარ მეთოფეებს მისცა ნიშანი. მათაც პატრუქები აანთეს და მოემზადნენ. „ირანული თოფები ჰქონიათ ბაგრატიონებს“ – გადაულაპარაკა მანუჩარმა თავის ძმებს და ამ დროს თბილისის გალავნიდან ოციოდე თოფმა ისეთი ხმით იქუხა, რომ მთელი ქალაქი გამოეფინა. ახალი იარაღის მნახველებმა გაიოცეს. თოფის წამლით დაყენებული კვამლი შეისუნთქეს და მეფეს შეხედეს. მეფემ კვლავ ანიშნა რაღაც მესტუმრეთუხიცესს და მანაც გალავნის მცველებს უბრძანა შედლუხი გაეგრძელებინათ.

ქეიფი ორ კვირას გაგრძელდა. მეპურეთა რიგებში, ვერცხლის ქუჩაზე, ოქროს ქუჩაზე, მებუკეთა ქუჩაზე, თათრის მეიდანზე, ყივჩაყთა კლდეზე თუ ოვსთა მოსახვევში, ვაჭართა და ხელოსანთა ამქარში მწვადი აშიშხინდა, ღვინომ და არაყმა მოიცვა ტფილის ქალაქის მცხოვრებნი. მეტეხის კლდეზე მომღერლები მრავალჟამიერს რომ მღეროდნენ, სეიდაბადის კარიბჭესთან მდგომი ხალხი სიმღერას ბანებს ურთავდა. ქორწილის ბოლოს მეფე-პატარძალი მცხეთის სასახლეში წაბრძანდნენ.

***

სულ მალე დავით X და მისი მეუღლე თამარი ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ჩათრეულნი. ერთის მხრივ, სპარსეთი უტევდა ქართლს და, მეორეს მხრივ, ვითომდა მოძმე კახეთის მეფე აოხრებდა თბილისის სანახებს. მეფის უმცროსი ძმა ბაგრატ მუხრან-ბატონი, ჯარით გადაუდგა წინ შემოჭრილ ავგიორგის და დანებება მოსთხოვა. მუხრანბატონის ამალაში მესხებიც იყვნენ, იანქო ჯაყელის ხელმძღვანელობით. ავგიორგი შეიპყრეს და ციხეში გამოკეტეს. დავითმა ლაშქრობა მოაწყო კახეთზე და შემოიერთა იგი. სულ მალე შაჰ ისმაილმა შემოუთვალა დავითს ისლამის მიღება. დავითმა, რა თქმა უნდა, უარი მიუგო, რაზეც შაჰ ისმაილის ერთგული ხანები შეიჭურვნენ ქვეყნის საზღვრებში.

***

რაც ყოველი ქორწინებისათვის არის მთავარი, დავითს და თამარს ღმერთმა ულამაზესი შვილები მოუვლინა. ვაჟებს შორის უპირველესი ლუარსაბი იყო, მომავალი დიდი მეფე საქართველოსი, რომელიც სიყმაწვილის ასაკში მესხეთში იზრდებოდა. როდესაც სპარსელთა ჯარი საქართველოს შემოესია, ლუარსაბი მამის გვერდით გაჩნდა, თავისი რჩეული მეგობრებით, ძმადნაფიცებით და ერთად დაიწყეს მტრის დაძლევის გეგმის შემუშავება. ლუარსაბ ბაგრატიონი სამცხელ ბიძებთან ერთად თელეთის ბრძოლაში ჩაება. ეს არ იყო უბრალო ომი. ქართლის ბედი წყდებოდა. ქართლელთაგან და სამცხელთაგან დაკომპლექტებული ჯარით ლუარსაბი სპარსებს ეკვეთა, მოსწყვიტა მათი წინამბრძოლნი, შეუტია ცენტრს და სპარსელთა ჯარი არივ-დარია. სპარსელებმა უკან დაიხიეს. ისინი გადაჯგუფდნენ და ისევ შეუტიეს ლუარსაბის ლაშქარს, მაგრამ ლუარსაბმა თავის მესხი გმირებით მტერი დაამარცხა და გააქცია, ლუარსაბიც მიჰყვა. მიუხედავად გაფრთხილებისა, ის წინ გაიჭრა და საკმაოდ დაშორდა საკუთარ ბანაკს. ირანელებმა ცნობილი ხერხი იხმარეს და მოჭენავე ქართველებს თელეთის ხევში დამალული ჯარით უკნიდან დაარტყეს. მეფემ რკინის ლახტი აამოქმედა, გზა გაწმინდა, თავისივე ხალხი ალყიდან გამოიყვანა. თელეთის ბრძოლის შემდეგ სპარსელები თბილისს შემოესივნენ, ქალაქის რამდენიმე კოშკი აიღეს და გამაგრდნენ. მეფის სახლობა და დედოფალი მცირე ხნით მესხეთს გადავიდნენ. თავად მეფე თბილისის მისადგომებთან დარჩა. დავით X -მ 1524 წელს, როდესაც შაჰ-ისმაილის გარდაცვალების ამბავი გაიგო, კვლავ შეჰყარა ქართლის მხედრობა, სამცხიდან მანუჩარ ჯაყელის ხელმძღვანელობით რჩეული აზნაურები მოიხმო და თბილისს შეუტია.

***

გაუგონარი გმირობა იყო თბილისზე შეტევა. მეფე დავითმა ქალაქს დედოფლის ბაღის მიმართულებიდან შეუტია. გალავანზე შემომჯდარ თოფიან სპარსელებს დაბლიდან ცეცხლი შეუნთეს მესხებმა და შეთხრილი გვირაბებით მათი რამდენიმე გოდოლის ჩამონგრევა მოახერხეს. საბოლოოდ, თბილისის ციხეზე ერთიანი შეტევა განხორციელდა. უფლისწულმა ლუარსაბმა და ბაგრატ მუხრანბატონმა მეტეხის ციხეში შეჭრა შეძლეს. ამავე ხანს ნარიყალას უტიეს დედოფლის ძმამ მანუჩარმა და მისმა მესხებმა. თავად დავით მეფე ქალაქში ცენტრალური კარით შევიდა და სპარსელთა გარნიზონის სვრა იწყო. 1524 წელს თბილისზე ბაგრატიონთა სამხედრო ჯვარი კვლავ აღიმართა. ნარიყალას ციხეზე ბაგრატიონთა ალამი გაიშალა და ქალაქმა უდრტვინველად იწყო ცხოვრება.

***

სამცხეში გაზრდილმა ლუარსაბმა 1527 წელს დაიდგა მეფის გვირგვინი. ამ დროს მამამისი დავითი უკვე ბერად იყო აღკვეცილი. დედოფალმა თამარმა დიდხანს იცოცხლა. როგორც უცხოელი წყაროები აღნიშნავენ, საპატიო დედოფალი, თამარი, თავისი შვილიშვილის – სიმონ მეფის სიყმაწვილესაც შეესწრო და გამოირჩეოდა როგორც უტკბესი მზრუნველი ბებია გმირი სიმონ მეფისა.

ეთნოგრაფიულ ჩანაწერები

***

პაპა რო მოსულა, სოფელი ახლად დაარსებულა. 9 კვამლი ყოფილა პირველად. პაპაჩემი ქარელიდან ბატონებ გამოქცევია. ზედა თმოგვს დამდგარა რამდენიმე წელიწადი, მერე ქილდას დამდგარა, სახლ-კარი გაუმართია, გამხდარა იქ გლეხი. ქილდას ქონდა ურიგო წყალი. ანტონაანი და მოსიაანი კაჭიოდან მოსულან, საროფიანი მოსულან ახალციხიდან. კაჭოელი სომხები არზრუმიდან არიან მოსული.

ნიკოლოზის დროს სომეხი გენერალი ყოფილა პასკევიჩი, იმას სომხები გადმოურეკია არზრუმიდან, ესენი იქიდან არიან მოსული. ქილდიდან პაპა მოვიდა ბალანთაში, 10-15 წელიწადი ბალანთას ეცხოვრა, მერე მამა ყოფილა მენახირე. ბალანთა ორათ იყო განაწილებული. მამული ნაყიდი ჰქონდათ ზედგინიძეებს და მელიქიძეებს. ჭალები რო დაუთიბიათ გლეხებს, მამას მოუთიბია და დაუდგია კარებზე. მერე სონია მელიქიძე იყო. იმათი მამა-პაპა დაუწყებენ ჯავრობას, რატომ უშლი რო მოსთიბაო, მერე ბერიძეს უთქვამს, გამოდი და ჩემთან სოფელში იცხოვრეო, სახელმწიფო ადგილია აქაო – ჭიხარულაში იცხოვრეო. აქ თათრებს უცხოვრია, კალოები გააკეთეს და თათრის ფულები ამოიღეს...

მთხრობელი **სერგო ილიას ძე ბარძიმაძე**, 81 წლის, ბორჯომის რაიონი სოფ. ბალანთა. სოფ. ჭიხარულა.

***

პაპაჩემი ზედა თმოგვიდან არის გადმოსული. ჩვენები ტოლოშში, პტენა, ვარევანშიც არიან. ჩვენი ძველი გვარი მელქაძეებია, იმერეთიდან ბატონს გამოქცევია ჩვენი წინაპარი. ჩვენ ვინაობით იმერლები ვართ.

ჩვენი მამა-პაპათა დროიდან მწყემსი რო მოკვდებოდა, საფლავის ქვაზე მწყემსისაზე ვერძს ან ბატკანს დაადგამდნენ. ჯიელი პატარძალი, რომელსაც შვილი ყავდა, იმას სიკვდილის შემდეგ აუცილებლად აკვანს დაადგამდნენ. ეს საფლავის წითელი ქვები მოქონდათ მოდეგის ადგილიდან. მოდეგა აქ ახლოა, იქ ძველად ბერძნები ცხოვრობდნენ, ეხლა კი სომხები ცხოვრობენ. ჩვენი საფლავის ქვის მთელი ერთი ბერძენი იყო გუთმიშხანიდან მოსული. საფლავები წმ. გიორგის ეკლესიის ეზოშია.

***

1.ჩემი მამაპაპა იმერეთიდან არის გადმოსული, როცა გაუქმებული იყო ასი წლით ჯავახეთი, მაშინ წამოსულა და დასახლებულა ფიას, მერე ამოსულა ქილდას, მიწა ცოტა იყო, ამიტომ ქილდას დასახლებულან. მე ქილდაში ვარ დაბადებული. ქილდიდან აქ 1944 წელს გადმოვედით, წყალი ცოტა იყო და იმიტომ გადმოვედით. ჩვენი გვარის წასულები არიან გომარეთში და თონეთში, მანგლისში არის. ჩვენ გვარათ მწყერაანთ გვეძახიან, მერე პატარა ქალიშვილებს, მერე რევაზიშვილებს, ეხლა კი ბალახაძენი გავხდით.

ერთხელ მოსულა გზირი და ბანიდან უნდა ჩეეძახა, მერე ბალღები ბევრი ყოფილა და ვერ გაუგია, მერე უთქვამს, არ დაუძახე ბალღებსაო? დაუძახე, მაგრამ როგორც ბალახმა გააბას ფესვი, ისე გაბმულან და ვერა გავაგონეო, ამიტომ ჰქვია ჩვენს გვარს ბალახაძე.

2.მამაჩემის პაპა იმას ერქვა მამუალი, თათრულ სახელს უძახდნენ მამუას. ისინი დაფარულათ იყვნენ ქართველები. იმის შვილსა, პაპაჩემს ერქვა ალექსიო, თათრულ სახელს უძახდნენ მურადას. მერე გადავქართველდით, მამაჩემის სახელი უკვე მარტო ქართული სახელი იყო, მოუსწრო ქართველობამ. მამულას გვარი იყო მარცვალაჲ - მარცვალაძეები. ისინი კარგი გლეხები ყოფილან, ის ისეთი ბედის კაცი ყოფილა, რო ქვაზე რო მარცვალი დეეგდო, იმ ქვაზე მოვიდოდა მოსავალი. ამის გამოისად მარცვალაძეები ყოფილან, შემდეგში გამოცვლილა გვარი, დაწერილა დელიბაშოვი. როდესაც თათრები ყოფილან, პაპაჩემი ყაჩაღი კაცი გამხდარა და დაუწერიათ ამ გვარად. რაღაც ყაჩაღი იყო მეთაური და ისე დაუწერიათ – დელიბაშ-გიჟის თავი. იმის შემდეგ დაწერილან მაისურაძეთ, როდესაც ბატონყმობა წასულა, სახლიკაცს მაისურაჲ რქმევია და დაწერილან მაისურაძეთ. ეგენი ყოფილან სამი ძმანი და როდესაც ესეთი არევ-დარევა ყოფილა ბატონყმობის დროსა, აქედან გაქცეულან, უვლიათ მთაში, ველზე, ტყეზე, მერე რო შეჩერებულა ომიანობა და დაწყნარებულა ქვეყანა, იმ დროს მოსულა ერთი ძმა ქილდაში და დაბინავებულა. ერთი ძმა ჩარჩენილა გომარეთში თავის ცოლშვილით, მესამე ძმა ჩარჩენილა საიმერეთოში, ისინი დღესაც იქ არიან.

3.ჩვენი პაპა თუ პაპის პაპა კახეთიდან არის წამოსული, იქიდან მოსულან და უცხოვრიათ ქილდას. კახეთში, შილდაში ცხოვრობდნენ. ერთხანს წადილობდნენ რო ბიძას წავეყვანე შილდას.

მთხრობელები: 1.**იროდიონ გიორგის ძე ბალახაძე**, 71 წლის, 2. **ვანო გიორგის ძე მაისურაძე**, 69 წლის, 3.**სანდრო ივანეს ძე მიქელაძე**, 69 წლის. ახალქალაქის რაიონის სოფ. ოკამი[1],

***

აქ ცხოვრობდნენ ნათენაძეები, ხუციშვილები, ხოსტიაშვილები (ხოსიტაშვილი. რედ.) ესენი ადგილობრივია. თაქთაქიძეები არიან, მათ ტათალაანთ ეძახიან. ნათენაძეები მოსულები არიან. თათარი რო შემოსულა, ეგენი გათათრებულან, ცხადად თათრები ყოფილან და ისე ქართველები. ბნელაში ჯვარს დასწერდნენ და მონათლიდნენ ბავშვსაო. ეკლესიაში კი ვეღარ მიდიოდნენ. თონის თავზე იმიტომ რომ სუფთა ალაგია, ვითომ ეკლესიის მინაგავარი ყოფილა და იქ ნათლამდნენ ბავშვებსაო.

აქ მოპირდაპირეს არი ერთი გორაკი სულიგორი. იქ სოფელი ყოფილა გაგაიტი. ეხლა იქ ორი საფლავია თათრების და ქართველების. გორის ძირას სოფელი ყოფილა. ეკლესიაა იქ მთავარანგელოზის. ხრამში არი შენობები, გვირაბები. ურდოები ეცემოდნენ სოფლებს და ქალრძალ იტაცებდნენ, ბალღებსაც. მერე იძულებული იყო ხალხი, რომ აქ გადმოსახლებულიყო. აქედან კარგათ ჩანს მიდამოები. იქ კი ისე მოვიდოდა, რო ვეღარაფერს მოასწრებდნენ. ეს კი ერთ ქალს, ახალგაზრდა გოგოს უთქვამს, რომ იქ გადავიდეთო. ამიტომ ქვია ამ ადგილს გოგაშენი. გოგოს აშენებული. წინათ სოფელი ჭაჭკარი ყოფილა, სადაც ბაღებია ვარძიის ველზე. აქ ზაფხულობით მოდიოდნენ მინდვრის სათესად. იქ არის ძალიან ძველი დარბაზები, რომელიც ამას ადასტურებს.

[1] ოკამში ამჟამად ცხოვრობს სოფ. ქილდის მოსახლეობა

***

ველი სოფელია სათათრეთში. იქიდან ჩემი პაპა გადმოსულა. ჩვენ იქაც კათოლიკი ვიყავით. მე ქართველი კათოლიკე ვარ. ლოცვაში ეხლაც ქართულათ ვიტყვით. დიდება მამასა, დადესა, და სულისა. პირველათ იყოს „ალთამარადის თაუკუნის საუტუნის ამენ“ (დიდება მამისა, დედისა და სულისა, პირველათ იყოს აწ და მარადის უკუნით უკუნისამდე, ამინ!) პაპამ იცოდა ქართული, პეტრე ჰქვიოდა. მამამ ცოტა იცოდა, მე კი სულ არ ვიცი. მამაჩემის მამა იყო პეტრე და აქედან არი ეს გვარი. ველში თათრები ცხოვრობდენ და პაპა იქ რო გადასულა, მერე დაუწყია თათრული ლაპარაკი. აქ მოვედით მაშინ, როცა მამაჩემი ორი წლისა იყო. 130 წელია რაც ჩვენი გვარი აქ ცხოვრობს. აქ ჩვენ რო მოვედით, არავინ არ ცხოვრობდა. ეს სასაფლაო აქ იყო, რო მოვედით. ვერძები სასაფლაოზე ქართველებისაა. ჩვენ რო მოვედით მერე არ ვდგამდით ეგეთ საფლავებს.

თესავდნენ აქ ქერს, გაზაფხულის ნითელ დიკას, შავი-ყარაგუზლუთ. დოლის პურს ჩვენ არ ვთესავდით, მერე დავიწყეთ. სელი, შავი სელი, ბრტყელი სელი. ვთესავდით კიდე სტაფილოს, კარტოფილ, კომბოსტოს. კარტოფილი ცოტა ვიცოდით. ბოლოკი, კვახს ვთესავდით, ფიგიც ითესებოდა, ხას ფიგსაც ვთესავდით.

ჩვენ ქართველებს ქალებს ვაძლევდით და ვიყვარებდით. სომხებს ქალებს არ ვაძლევდით. ვალე, უდეში კათოლიკები ცხოვრობდნენ. ქალებს სომეხ კათოლიკებს ვაძლევდით.

ხულგუმოში ქართული წარმოშობის გვარებია: ტობალიანი, თოფალიანი – ჩამოსულან ველიდან ორი კოჭლი ძმა. თათრულათ თოფალი ქვია კოჭლს, ამ ოჯახისთვის შეურქმევიათ, შემდეგ გვარად თოფალიანი. თავდაპირველი გვარი არ ახსოვთ. ეფრიკიანიც შემდეგ შერქმეული გვარია, ივანიძეები ყოფილან. ივანე ყოფილა იმათი წინაპარი, შემდეგ კი პაპის – ეფრიკის სახელის მიხედვით მიუღიათ გვარი. ლაზარიანი ქართული წარმოშობისაა. ამ სოფელში ცხოვრობს 180 წელია ის ხალხი.

ტერმინ ხარებს ქართველებიც ხმარობენ და ქართველი კათოლიკებიც, მაშინ როდესაც იქვე მცხოვრები სომხები ამ ტერმინებს არ ხმარობენ.

სამღთო აქ სხვანაირად იციან. თითონ არ კლავენ სამღთოს, არამედ ყიდიან და ფული ახალციხეში ივლიტას ეკლესიაში მიაქვთ.

აქ ვხმარობდით ჯილღას და ყურებიან ჩივთს. სომხები ხმარობენ ჰარონას, ვხმარობდით დიდ გუთანსაც.

პირველად გუთანზე ხარს კვერცხს მიარტყამდენ შუბლზე, არ ვიცი, რისთვის ხმარობენ.

მოდგამ ვიცოდით ხვნაში. ორი ოჯახი შევიკრიბებოდით. ერთი მოიყვანდა ორ წყვილს. იყო ისეთი მდიდარიც, რომელსაც მოდგამი არ უნდოდა. ისე ბევრი ხარი ყოლია. ზაფხულის ხნულიც ვიცოდით და შემოდგომის ხნულიც.

გაზაფხულზე თესვას რო დაამთავრებდენ, მერე ხნავდნენ. ორი წლის მოუხვნელიც იყო შემოდგომის დატოვებულიც. პირველათ კავით ხნავენ. ორი კვირის შემდეგ ფრთიანი ჩივთით ვხნავდით, მესამედ 15 დღის შემდეგ, კიდევ ფრთიანი ჩივთით ვხნავდით. ვისაც ძალა ქონდა, წვიმების შემდეგ, როცა გაშრებოდა, მერე კიდევ მოხნავდენ. ამას გაზაფხულით თესავდნენ, მერე კავით ჩახვნიდნენ.

მთხრობელი იაკობ თომას ძე პეტროსიანი,2 84 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ. ხულგუმო.

[2] ქართველი კათოლიკი. მეტყველებს თურქულ ენაზე

***

აქ იყო ერთი თოსუაშვილი. იმას ყავდა ერთი ვაჟიშვილი. ის ვაჟიშვილი მოკვდა და სიმდიდრე ჰქონდა. რო ჩემი შვილი რატომ უნდა დაქელოს საქონელმა, აიღო და ერთი ეკლესია დაადგა და ჯვარიც დაუსვა. მერე სხვებიც დაასაფლავეს იქ. ამათი გვარია ზარიძე. 100 წელზე მეტია რაც გაკეთებულია.

სახლი-სამარხი სასაფლაოს ცენტრალურ ადგილას დგას. სამარხის სახურავი ორფერდაა და ქვის ფილაქნით არის დახურული. ამჟამად სახურავი ნაწილობრივ დანგრეულია. თაღი აღმოსავლეთის მხარეს ჩატეხილია. სამარხს კარი პატარა აქვს, ხის კარები შემდეგ გაკეთებული ჩანს. კარების მაღლა ქვის კედელზე არის წარწერა, რომლის ამოკითხვა მთლიანად გაძნელდა. ამოკითხული იქნა წარწერის ერთი ნაწილი:

... ამას შინ მდებარე არს... ნიკოლოზ ზარიძე... წამკითხველო შენდობა ბრძანეთ.

სოფ. კოთელიას არის წმ. კვირიკეს ეკლესია. აქვე არის ნასოფლარი მურჯი. ნასოფლარის მთაზე, რომელსაც მურჯის მთა ეწოდება, არის ძველი ეკლესიის ნანგრევები. ნანგრევები ამჟამად უზარმაზარი თლილი ქვის ორ წყებასღა შეადგენს. მურჯის მთის ქვემო ნაწილში გაკეთებული ჰქონიათ გვირაბი, რომელსაც დარანს უწოდებენ. იქვე არის პატარა მურჯის მთა, რომელზედაც ძველი სასაფლაოს ძეგლებსაც ვხვდებით.

მთხრობელი ბაგრატ ტიმოთეს ძე ზურაბაშვილი, 76 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ. კოთელია.

***

აქ ცხოვრობდნენ გოგოლაძეები, ხმალაძე, გვარამას ძე, აბრამიშვილი, მურჯიკნელი, ინასარიძე, ნათენაძე, ბერძენიძე, გოჩაშვილი, კოსტანაშვილი. ინასარიძე (დასიძებული). წინათ იყვნენ მაზმიშვილი, ანზაველიძე და ყველაზე ძველი მოსახლეები აბრამიშვილები და გოგოლაძეები ყოფილან. მერე ხეჩოიანი მოსულა. აბრამიშვილები შეიძლება მკვიდრიც იყოს, მურჯიკნელი აქ დიდი ოჯახი იყო. 40 სული ხიზანი ცხოვრობდა. იმათ თავინთვის გუთანიც ქონდათ გამართული, ხარიც ბევრი ყავდათ და ძროხაც.

მთხრობელი გიორგი სტეფანეს ძე ხმალაძე, 57 წლის. ახალქალაქის რაიონის სოფ. ბარალეთი.

***

წინად აქ ტყე ყოფილა. ჩვენ ვართ საქართველოს სამწერისიდან, აგარასთან არის. იქიდან ბატონ-ყმობის დროს ვართ გამოქცეული. 150 წელია რაც აქ ვართ. პაპაჩემი ხოჭიჭით წამოუყვანიათ. აქ ისეთი ხშირი ტყე ყოფილა, რომ სოფელი ვერ ეშოვათ, ეს ჩვენი საყდარი 750 წლისამაცხოვარია. ეგ საყდარი დაუნახიათ პერევალიდან რო მანდ სოფელია, მერე მაგ წყალს გამოყოლია კასანთას და აქ დასახლებულან. აქ ყოფილან ხეჩოიანი სომხები. თათრებიც ყოფილან. ქართველები ხმალაძეები ყოფილან, გვარამაძეები უფრო ძველია, მურჯიკნელებიც არიან.

მთხრობელი სერგო აკობის ძე გოგოლაძე, 70 წლის, ახალქალაქის რაიონის სოფ. ბარალეთი, ჩაწერილია 1951 წლის სექტემბერში **ჯულიეტა რუხაძის** მიერ



ჯავახური სოფელი. ჩამწერის ფოტოარქივიდან

სამცხე-საათაბაგოს ნაოხრები

(მგზავრის შენიშვნები)

(გაგრძელება. დასაწყ, იხ. N12-13 2024 წ.)

IV

ხერთვისის ციხე, ეს არწივის ბუდე, დაშენებულია ციცაბოზედ არტაანის და ჯავახეთის ორივ მტკვრის შესართავში!.. ქართველთ ააშენეს ეს მოხერხებული ციხე – ამას ჰმოწმობს შიგ შუა ციხეში ნანგრევი მცირე ეკლესია. ამაყად დასცქერიან ნანგრევები ციხე-გალავნისა და ფაშის აწ უქმად მყოფი სასახლე მიწიან ბანებით დახურულ ხონბიკათ შეკრებილ ხერთვისს და მის მშვენიერ ბაღებს, მრავალ საუკუნოებიან თუთის ხეებით და სხვა ხეხილით!..

ხერთვისში სულ იანიჩართ შთამომავალნი ოსმალნი ცხოვრობენ და თუ ვინმეა გამუსლუმანებული – მესხია, ისიც მეტი ფანატიკოსი. აქ გვიმასპინძლეს ნალეკარმა ბეგმა ბოზბეკოვმა და გათათრებულმა ბეგმა აბაშიძემ... წესიერად ჰქონდათ შეგნებული ამ პატიოსან პირთ ამ მხარის ავ-კარგი წარსულშიაც და აწმყოშიაც... ეს შეგნება სხვაგანაც ბევრგან შეგვხვდა...

აი აწყვერსა და ასპინძას შორის, სადაც კოდიანის მთა წამოწოლილა ჭობის ზევიდან, არის ორი სოფელი ოშორად წოდებულნი. როგორც აქ, ისე მახლობელ სოფელს იდუმალაში გათათრებული ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ სრულის ქართულის გვარებით: ჭინჭარაძე, ჭინჭველაძეო. თვით ბეგი ავალოვ-ათაბეგოვი ტომით ქართველობს, სჯულით მაჰმადიანობს.

ოშორის მოლა მოსაწონ ქართულს ლაპარაკობს. როდესაც მე შევეკითხე, რა დაუძახო თათრულად, როცა ვლამობ რაიმე გამოვკითხო მეთქი – მან მიპასუხა: „გადამტკიცული ენის წესით უმჯობესია უბრძანოთ „ყარდაშ-ბეგ“ – ძმაო ბატონოვო: შვილები ამ მოლას სტამბოლში ჰყოლია სოფტებათ და როცა შევეკითხე – რატომ რუსის სკოლაში არ ჰზრდი მეთქი, მიპასუხა: „ძვირია მეტი და სად შევძლებ... ამასთან სტამბოლში სახელმწიფოთ მიზდიანო“... ოსმალეთი დღესაც სათუთად უყურებს ამ მხარეს. აქაურმა მოლამ თუ 25 წელი იმსახურა, სტამბოლში ატყობინებენ და იქიდან აღობის ფირმანი თურმე მოსდით...

შვილების აღზრდის სიძვირეზედ და შეუძლებლობაზედ ყველგან გაიგონებ. საქართველოს მეფობის დროს წერა-კითხვა ყველა ოჯახში იყო მოდებული; ოსმალთ დროს მოლები გაუგებარ არაბულს მაინც ასწავლიდნენ, ეხლა კი არამცთუ სოფლებს, მთელს მხარეს ჰნახავთ, სადაც წერა-კითხვის მცოდნე ვერ იპოვება.

მრავალ საბუთებიდან სჩანს, რომ ოსმალთ ეს მხარე მეტად კულტურული და აღყვავებული ჩაუვარდათ ხელში. ამიტომ ქართველობას ბევრი რამ გადუცია ოსმალთათვის მოქალაქობრივის მხრით, მეურნეობისა თუ საზოგადო ეტიკეტის მხრივ... ამას დღეს ოსმალნიც პირდაპირ ამბობენ, – მაგალითად, ბევრ-ცოლობა, ეს სჯულის მიერ დაკანონებული და მთელ ოსმალეთის მოსაწონი წესი აქ უნიადაგო შეიქმნა ქართველთ გავლენის გამო... მუსულმანურის წესით უშვილო ძმის სიკვდილის შემდეგ, მის ცოლს მეორე ძმა ესიძება თესლის აღსადგენად, მამულის საპატრონოდ. აგრეთვე ძმის ვაჟს მეორე ძმის ქალი შეუძლიან შეირთოს, მაგრამ მესხეთში ამ წესებმა ფეხი ვერ მოიკიდა.

პატივით მოქცევა ოსმალთ მიერ ქართველთ სალოცავებისადმი ამ კულტურისავე მიზეზი იყო, აგრეთვე ქართველთ მიერ არამცთუ ენის, რჯულის შერჩენაც კი. ეხლა კი უვიცობა, აჯმობა, უპატრონობა!..

მტკვარზედ ისევ ძველი ქართველთ მიერ ნაკეთი ხიდები ხიდობენ, გზებიც-კი სულ არაა. ახალქალაქში ორი შოსე მიდის: ბორჯომიდან და ახალციხიდგან – ჯერ გუმბრშიაც ლამაზ დუზზე არაა გადატანილი შოსსე... სამეურნეო სკოლები, ან სახელოსნო, რომ მოწყვეტილ მხარემ რაიმე კულტურა შეიგნოს – არსად არი. რაღაც ორიოდე სკოლაა ხერთვისს, მუსხას, ბარალეთს, ქილდას, მაგრამ მათ ხალხი არ ეკარება... მტკვრის ხეობიდან გურიაჭარა-შავშეთ-ერუშეთს მრავალი გზანი გადადიან, მაგრამ ამ კისერსამტვრევნი, მამა-პაპურნი...

ასპინძის მამულში, მტკვრის პირას, მშვენიერი აბანოებია ცხელი მადნის წყლებისა, სადაც მრავალი ავანტყოფი მიდის. მეფეების დროს ეს წყლები ქვიტკირით ყოფილან ნაშენნი. რუსებს დაუნგრევიათ – ავაზაკთ თავშესაფარი არ გახდესო. ავაზაკობა აღარაა, პატრონობა-კი მაინც გაშპა. ათას კლიაოზნიკობაზედ აშენებულ შუამდგომლობით მთავრობა ეხლა აპირებს იჯარით წელიწადში 80 მან. გაცემას...

ასპინძის ზევით მოსდევს სოფელი ბნელო, დედეში, შაოშეთი დავით-უბანი, ხოკეთი, ხუნცა და სხვები, – აქ სულ ქართველები არიან, ქრისტიანობაც დაუცავთ, მაგრამ ვაი თვით ქცევას, ტანისამოსს, ენას...

ხერთვისის ზევით უფრო კარგა შენახულა ქართველობა, მაგალითად, ქილდაში, გოგაშენში, ჩუნჩხაში, ჭაჭკარში და

სხვა... აქ ქართველთ ძველი ბევრი რამ ახსოვთ... უფრო ვარძიის მადლსა და გავლენას უნდა მიეწეროს აქაურ ქართველობაში სიმტკიცე.

აქ ერთი ამბავი მიამბეს: ეხლა რომ ქართლში ს. ნადარბაზევია, უწინ აქედან გადასულან, – ნანგრევები დამანახვეს კიდეც. ამ ჯავახეთის ნადარბაზევში ერთი მდიდარი გლეხი იყოვო, რომელსაც მეფე ესტუმრა... მარჯვედ დაუხვდა გლეხი მეფეს, იმიტომ მეფის კაცებმა უთხრეს: „დეემღერე მეფეს, აზნაურობა მოგცესო.“ იმანაც მოიყარა მეფის წინ სუფრაზე მუხლი და შეჰმღერა:

„ხედავ, დიდო ხელმწიფევ
ნადარბაზევი მთააო,
სამოც უღელა ხარი მყავ,
კალოთ მოსული სხვააო,
ძროხა და ცხენი მრავალი,
ცხვარს ხომ არა აქვს თვლააო,
პური და ღვინოც ამდენი,
აზნაურობა რააო!“

შეიჭმუხვნა მეფემ ბოლო სიტყვებზედ შუბლი, მაგრამ ერთმა მოხერხებულმა თანამხლებელმა მოასწყო და შეჰმღერა მეფეს:

„ჯავახია და ბრიყვობსო,
დაე, მაგისი იყოსო!“

და მხოლოთ ამაზედ უბოძა მეფემ აზნაურობა ბრიყვ ჯავახსაო...

V

ხერთვისის ზევით მტკვრის პირას გველივით მიიკლაკნება ბილიკი, – ჩვენც ამას გავყევით და წავადექით ნაქალაქევს.

ვეება ნანგრევებზედ ქურთის პაწაწა სოფელია დასახლებული. „აქ აღაშენა ეკლესია გუმბათიანი, მშვენიერი წარმოგზავნილმან დიდ-კონსტანტინესამან წარსაგებელითა კეისარისათა, რომელნი წარგზავნა მირიან მეფესთანა და დაასვენეს მისსა შინა სამჭვალი ქრისტესი“. ამბობს ქართლის ცხოვრება.

წავდექით ცოტა და შევედით ს. წუნდაში, მშვენიერ ადგილს მდებარესა, ბაღებით მოცულსა და მშვენიერ წყაროებიანსა. აქვეა სასახლე ბეგ ფალავანდოვისა, აწ მაჰმადიანის, მაგრამ ტომით ქართველისა. მის სასახლის გვერდით დაცულია მშვენიერი წუნდის ტაძარი, ჩუქურთმებით და წარწერით. – „მოზღუდა ესე ციხე-ქალაქი წუნდა ჯავახოს-ძემან ცხეთოსისამან და იყო ქალაქი და ციხე ერთ მეფობამდე.“ ამბობს ქართლის ცხოვრება.

მაგრამ ყველა ესენი გავიწყდება, როცა აქვე შეეჩეხები ქ. თმოგვის ნანგრევებს... ბევრი მინახავს ნანგრევნი, მაგრამ ასე დამაფიქრებელნი და საოცარნი-კი არა...

უშველებელი ფრიალო კლდე, მტკვარზედ გადმოყუდებული, შემოუგრაგნიათ ციხე-გალავნით. ციხე ხვრელებითვე ჩადის წყლის ამოსატანათ მტკვარშივე. ციხის შიგნით მოჩანს ფრიალოზედ ეკლესიები, მოქალქეთა სახლები და სასახლენი. – ყველა ეს დღეს გაორებული და დანგრეული იყურება სალი კლდიდან, რომელიც გამოსაცქერის ასეთსავე სალ კლდეებს გამოღმა.

შუა ნაპრალში მიქუხს მტკვარი... საკვირველებით უნდა ჩაითვალოს ასეთის სიმაგრის აღება.

ამის შესახებ მატიანეც სდუმს, ხოლო გადმოცემა აი რას გვაუწყებს: „თმოგვის პირდაპირ კაპანზედ გამწკრივებულ სოფლებ დანკალს, ოკამსა და მირაშხანს დაბანაკდა ურიცხვი მტერი და დიდხანს სცდილობდა თმოგვის აღებასაო. თმოგვში მეფის სახლიდან მეფის ცოლი ხშირად ჰხედავდა ხოლმე ურჯულო მტრის სარდალს, რომელიც შეებმებოდა ხოლმე ციხიდან გასულს ქართველ ჯარსაო...

ქალს მოეწონა სარდლის მშვენიერება და შეუთვალა: ცოლად შემირთე და ციხეს აგაღებინებო. სარდალმა ისარგებლა იმით და ქალის შემწეობით აიღო ციხეო. – ხოლო თავის ერის მოღალატე ქალი, სარდალმა არამც თუ არ შეირთო, სადაც ეხლა სოფელი დანკალია, იქ მოაბა ცხენის კუდს და ისე ათრევინაო. ტანჯული ქალი ყვიროდა: „ასე ტანჯვას, დამკალიო!“... და ამის შემდეგ დეერქვა „დანკალიო“.

ამ დიდებულმა გადმოცემამ და უკვდავი რუსთაველის ერთმა სტრიქონმა „დილარგეთ – სარგის-თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა“ – ძალუმად დამაფიქრეს. ამ სალ კლდეზედ დღითი დღე ჰქრებიან ნანგრევნი თმოგვისანი, – შორს არ იქმნება ის დრო, რომ აქ მარტო სალი კლდეღა დარჩება, მაგრამ ასევე მალე გაშპება ეს გადმოცემა, ან რუსთაველის ლექსი?! ... არსებობა თმოგვისა უფრო უკვდავია, თუ მასში აღზრდილ პოეტის სარგის თმოგველისა? „რა უფრო ძლიერია: ხელოვნება თუ ბუნებაო?“ იკვლევდა ერთ ჟამათ ფილოსოფოსი სპინოზა. რა ხანგრძლივია: ციხე-ქალაქი თუ მისი უკვდავი შვილის სახელი? მეფიქრებოდა მე უბადრუკს.

გავცილდი და მოვშორდი თმოგვის ნანგრევებს და აგერ დიდებული ვარძია უთვალავ სენაკ-პალატებით, მტკვრის პირას კლდეში გამოკვეთილებით!... მეფე გიორგი III-მ ააშენა და დიდებულმა მისმა ქალმა თამარ მეფემ დაასრულაო. მრავალი პალატნი დღეს უქმად არიან. საქართველოს არც ერთი მონასტერი არ შეედრება ვარძიას მათზე წარსულ შრომით. თვით მონასტერი ოსმალთ დროს დაუქმდა, მაგრამ ეს ორმოცი წელია, რაც ისევ გაიხსნა.

ძვირფას ეკლესიის კედლებს შერჩენია მხატვრობა და ამ მხატვრობაში თქვენ თვალს ვერ არიდებთ სურათს დიდებულის თამარისას, მისი მამისას, ლაშა გიორგისას და რუსუდან დედოფლისას... საოცარია აგრეთვე თამარის წყარო, ეკლესიის გვერდით გამოქვაბულში ჰაუზად მდგარი, რომელსაც, რამდენიც გინდა იხმაროთ, არ აკლდება და რამდენი ხანიც უქმად იყოს, არ ემატება წყაროს რაღაც, რაღაც. სურნოვანი გემოვნება აქვს და მეტი ცივი და შემრგოა.

დიდ ეკლესიის გვერდზედ კლდეში მეორეცაა გამოქვაბული, მშვენიერი ტრაპეზით. მის წინ ორი საფლავია: დიდებულ მეფე გიორგი III-სა და კონსტანტინესი, მაგრამ რომელი ვისია, – ნამდვილი არავინ იცის... როდის იქმნება სამცხე ისე განათლდეს, რომ მისმა შვილებმა ღირსეული მატური დაადგან თავიანთ მამულის მოყვარესა და მოღვაწეს მეფე გიორგის? – გავიფიქრე მე...

აგერ მივედით „დივანხანის“ სანახავადაც. ეს უშველებელი პალატია კლდეში გამოჭრილი სარკმელით, რომელიც დივანხანაში გადის... როცა დიდებულნი დივანხანაში ქვეყნის საქმეებზე ბჭობდნენ, მეფე თამარი ტაძარში ბრძანდებოდა და იქიდან ისმენდა მსჯელობასაო, – ამბობს გარდმოცემა...

ეკლესიის აივანსაც შერჩენია ნახატები და ამ ნახატებს შორის, ერთი ნახატი იპყრობს უბირ მლოცველის ყურადღებას, – ამ ხატზე და-ძმაა გადახვეული, იქვე უდგათ ურემი, წვრილ მოზვრით შებმული. მეტად ტიპიური ამბავია ამ მხარისთვის ხალხის მიერ თქმული, და ამიტომ მეც მოვიყვან. და-ძმა წაუყვანიათ ჯავახეთიდან ტყვეთ სათათრეთში. ერთი სხვა ფაშას უყიდნია, მეორე სხვას და ერთმანეთს დაჰშორებიან. ერთხელ ეს ფაშები ერთმანეთს ესტუმრებიან; სტუმარს დაკარგული ძმა მოჰყვება მხლებლად, მასპინძელ ფაშას კი ჰყავს მისი და მოახლეთ. როცა ფაშები ვახსამზედ გააბამენ ნადიმს, ძმა დაინახავს, რომ მსახური ქალი მწარეთ ქვითინებს, მიზეზს იკითხავს და ქალი ეტყვის: „როგორ არ ვიტირო, რომ ხვალ ჩვენში დიდი დღეობაა ვარძიობა და როგორც ამაღამ, ისე ხვალ მთელი ერი იქ იქმნებაო“. მაშინ ძმა იცნობს დას და გადაეხვევიან ერთმანეთს, მეორე დღეს ესე გადახვეულები, ურემში მსხდომნი, რომელშიაც უღელი მოზვერი ებმება, ისინი განგებით გაჩნდებიან ვარძიის გაღმა კაპანზედ და იქიდან გადმოჰხედავენ ერს. გადმოვლენ ურმიდან, ინატრებენ: ერთი წყარო მოგვცა, რომ პირი დავიბანოთ და ისე ჩავიდეთ ერშიო; ღმერთი ამასაც აუსრულებს და იქვე გამოვა ცივი წყარო.

ეს წყარო თანამგზავრმა ჯავახმა ჩვენც გვაჩვენა. იგი ანკარა მიიკლაკნება გოგაშნელთა ბაღებში და ჩარბის ფერდობებზე მტკვარში.

ვარძიის გაღმა კაპანზედ ავედით. სოფლები დანკალა, ოკამი, მირაშხანი თვალ-წინ გვეშლებიან, მაგრამ ჯერ დანკალას ფერხთით კუმურდოს ტაძარს ვაცქერდებით. მისი გუმბათი ისე მაღალი იყო, რომ დანკალას აყენებდა ჩრდილსაო, – გვეუბნებიან ჯავახნი, ეხლა-კი ეს უშველებელი გუმბათი მონგრეულია. ნანგრევებით სომხებს ზედ ამ დიდებულ ტაძრის კედლებზედ თავიანთი ტაძარი მიუდგავთ. ნუ თუ სხვაგან ამ ფართო ეზოში არ იყო ალაგი? „კუმურდოს დიდ-შენი ეკლესია მირიან მეფის დროს აღაშენეს კონსტანტინე დიდის მოგზავნილთ. იჯდა ეპისკოპოზი მწყემსი სრულიად ჯავახეთისაო“ – ამბობს ვახუშტი.

აქედან გავყევით ქურთის სოფლებს: აზმანას, ქარცეფს, ხავეთს, ერინჯას, – მთლათ არტაანამდე...

მღვდელი ზაქარია გულისაშვილი
„ივერია", 1901 წელი, N180

მესხეთს

მეხილა ჩემი მესხეთი,
ველოდი ამას რა ხანი,
მიხმობს მე იქით ზანავი
ძველი ოცხე დ ვარხანი.

რეკავენ ზარზმის ზარები,
დავანთე მათთვის სანთელი,
კვლავ სიჭაბუკეს მაგონებს
შოყა, ფხერო და ენთელი.

ლაღი სიმღერის ხმა ისმის,
ქორწილში – ჰარი, ჰარალი,
ძმურად მესხეთზე მღერიან
ზველი, თმოგვი და არალი.

ზველელებს

ზველელებსა ვადღეგრძელებ,
სოფლის ყველა მშრომელს ვიცავ,
თქვენთვის მინდა ეს სტრიქონი,
იალას და ფიქრულს ვფიცავ.

თქვენი შრომით გაიხარეთ,
სულ არ გქონდეთ სხვაზე შური,
გქონდეთ მხოლოდ სიყვარული,
და მორევას დოლის პური.

კახოს ყანა, მერიები,
ირმის რქა და გრძელი ჭალა,
გენაცვალეთ, ზველელებო,
ვინც რომ იცით პურის ჭამა.

ლექსის ბწკალი ან სტრიქონი,
რაცა ვწერე არის შენი,
მსურს ბაღნარად გადაიქცეს
ჩაგრძელა და პატრაშენი.

თაროგვერდში თხილსა კრიფავთ,
ჩარდაღაში პანტასაო,
ჭურაში ხომ თივას თიბავთ,
ქორეთში ხდით არაყსაო.

ქორეთი და ღობიეთი,
ფუტურ ქვა და იაღლი ტაში,
აღმართებს რომ მიუყვებით
ვიცი, გზარავთ ალბათ ტანში.

ყველა მინდა ერთად გაქოთ,
ხომ არ ვცდები ნეტავ ზოგში,
კაცი კაცად რომ შეიცნოთ,
პური ჭამეთ ხშირად ზოლში.

კოკოლიებს ხმა მომესმა –
დაგიკრიფავ, ჩამო, ჭერამს,
ზველელი რომ ზველს არცხვენდეს,
გადააგდეთ ჩამოჭერას.

ვაქებ, ვაქებ, კიდევ ვაქებ,
კოშკებსა და ჟანგირებსო,
შავმა მიწამ პირი უყოს
ვინც ზველელებს აგინებსო.

მოკეთე და მეზობელი
დაგესიზმროთ მუდამ ძილში,
ერთი ნატვრა აგისრულდეთ, –
ცივი წყარო გქონდეთ ჩრდილში.

ცივი წყლები რომ შეგიქოთ,
ვინ თქვა ნეტავ „ახ უარი“,
სამხობელა ავაზნები,
მეფის წყარო „აღფუარი.“

ჭინკას წყალი კაკნაური,
მუთბაღი და კაკლის წყარო,
გენაცვალე ჩემო ზველო,
ამით მაინც კარგი ხარო.

ეს ლექსი თქვენთვის გავლექსე
ზედგინიძემა დათომა,
თქვენს სიყვარულში ვბერდები,
თმებში ჭაღარამ დამთოვა.

გოგი „ეგნატიჩ“

მე შენს მარჯვენას დავლოცავ,
ეგნატეს შვილო გოგია,
შენ ზველში ვაზი ახარე,
ზოგსა ზღაპარი ჰგონია.

ბუნების მოტრფიალე ხარ,
ყველა ბუჩქის და ნერგისა,
ბულბულსაც შეშურდებოდა
შენ რომ უმღერდი ნარგიზსა.

ნასოფლარებში ეძიე
ვაზი, მესხური ჯიშისა,
ფანაქეთს ნახე ეს ვაზი,
არ გქონდა ფიქრი შიშისა.

რომ მოეფერე ვაზის ძირს,
მას ტანზე მუმლი ეხვია,
სიხარულისგან ყლორტები
შენ მკლავზე შემოგეხვია.

მამას ბ. „დავიდოვიჩს“

შენ საუკუნის მიჯნაზე დგახარ,
როგორც ბერმუხა ყლორტებ აყრილი,
შვილთა შვილებთან გშვენის სიბერე,
როგორც გაზაფხულს მარტი, აპრილი.

ტოტებგაშლილო, ყლორტებ აყრილო,
დიდო ბერმუხავ, ფესვებ მაგარო,
სიდარბაისლით შენი მხნეობა
არ ვიცი ახლა რას შევადარო.

შენი ცხოვრების აღმართ-დაღმართი
კაცური კაცის სახელით განვვლოთ,
შენი ბუდიდან აფრენილ მერცხლებს
კვლავაც იმედით ფრთა შემოავლოთ.

ჭირის და ლხინის მრავალ მნახველო,
ქედმოუხრელო ხარო ნიშაო,
დღეს აღარა გყავს უღლის გამწევი,
ჭაპანს ისევ სწევ მარტო წინაო.

დიდო ბერმუხავ, ფესვებ მაგარო,
ყლორტებს შენს ჩრდილში ისევ ფარავო,
შვილთა შვილებმა გიმრავლოს მარად,
როგორაც მთაში ცხვრისა ფარაო.

***

რა ვქნა, თუ ისე ვერ ვწერე,
ჩემი ლექსების ალამი,
ღმერთმა რა ნიჭიც მიბოძა,
იმას სწერს ჩემი კალამი.

***

ჩემი ცხოვრების აღმართ-დაღმართში
მუდამ ვიყავი შრომა-ჯაფაში,
მაინც ვერ შევძელ, ვერ შევიცანი
ადამიანი ადამიანში.

ქვეყნად ვინ იყო ბრძენი ისეთი,
ვინაც შეიცნო ადამიანი,
ქვეყნად ყველა კაცს თეთრი კბილი აქვს,
გული კი მრავალს გულ-ღვარძლიანი.

***

მოძღვრის ლოცვაში დამამახსოვრდა
სიტყვა: „პურია ჩვენი არსობის“,
როცა მის თავთავს ვკრეფდი ყანაში
მახსენდებოდა წლები ბავშვობის.

– „პურის მადლმაო“, იფიცებოდნენ,
როცა არ იყვნენ სიტყვის გამტეხნი,
რა ძალა შესწევს პურს – მათ იციან,
მადლი იციან პურის ნატეხის.

გლეხი გახედავს იმედით ჯეჯილს,
ჩაიმუხლება პურის ყანასთან,
მადლი პურისა მხოლოდ მან იცის,
მიჯაჭვულია ვინაც მიწასთან.

ავტორ-მთქმელი
დავით ზედგინიძე, ასპინძის
რაიონი. 1993 წელი. სოფელი ძველი

განცხადება

ჩვენი გაზეთის ერთგულო მკითხველო!

როგორც მოგეხსენებათ, გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი,“ დღიდან გამოცემისა, ძირითადად საკუთარი შემოსავლებით ფუნქციონირებს და, მიუხედავად ამისა, იგი რესპუბლიკაში, სალიტერატურო გამოცემებს შორის, მაინც ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთია, რომელსაც მკითხველი მთელი ქვეყნის მასშტაბით ჰყავს.

გაზეთმა რომ იფუნქციონიროს, თითოეული თქვენგანისაგან მეტი მხარდაჭერა სჭირდება, რისთვისაც გთხოვთ, ვისაც დღემდე არ დაუფარავს გასული წლის დავალიანება, შესაბამისი თანხა ჩაგვირიცხეთ მითითებულ ანგარიშზე:

შპს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“
„ლიბერთი ბანკის“ ასპინძის ფილიალი
ს/კოდი 223100908
ანგ. NGE72LB113115795007000
წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

რედაქცია

ღაბა ღა სოფელი

(მგზავრის შენიშვნები)

ჯავახეთი. 15 მარიამობისთვეს. აქეთკენ ორგან იცის დღეობა, ანუ აქაურად „ზიარათი“, ერთი საფარის და ერთიც ვარძიის მონასტრებში. პირველი მათგანი ქ. ახალციხეს და ქვემო მესხეთს უფრო ემხრობა, ამიტომ აქ ხშირად თავს იყრიან ახალციხელები და ქვემო მესხელები; მეორე-კი, ე.ი. ვარძია ემხრობა ქ. ახალქალაქს, ზემო მესხეთს და მთლად ჯავახეთს. ამ მონასტრებში, გარდა დასახელებულ ადგილების მცხოვრებთა, მრავალნი მოდიან წალკიდგან (ქართველები და ბერძნები) და ყარსის ოლქიდგან (ბერძნები და მაჰმადიანები). საფარის შესახებ ამ ჟამად არასფერს ვიტყვით, რადგან არ გხლებივართ, მოგახსენებთ ორიოდე სიტყვას ვარძიის წრევანდელ დღეობის შესახებ.

ვარძიის მონასტერი ახალციხიდგან 59 ვერსის მანძილზედ (საურმე გზით) სძევს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს. იგი გაშენებულია ერთს მაღალ კლდეში და წარმოადგენს ერთს უზარ-მაზარს ოთხ-სართულიანს სახლს (მაღაროს). მეორე სართულში იმყოფება კარგად მოზრდილი ეკკლესია ძველებურის მხატვრობით და ეგრედ წოდებული თამარ დედოფლის პალატი. მესამე სართულის მაღაროთა შორის შესანიშნავია ეგრედ წოდებული თამარ დედოფლის სასამართლო (აქაურად დივანხანა). მშვენიერს სანახავს წარმოადგენს ეს მონასტერი ღამე, 14 მარიამობისთვეს, მდ. მტკვრის პირიდგან, მაყურებელს სწორედ ასიამოვნებს სამას-ოთხასამდის სანათი და მასთან სხვა-დასხვა ფეროვან ქალ-კაცის მოძრაობა. საზოგადოდ მონასტერში ბლომად მოდიოდა ხალხი, მაგრამ უკანასკნელს დროს მლოცველები შარშანდელმა უხიდობამ შეაშინა. წელს, მართალია, გაეკეთებინა ხერთვისის მამასახლისს ხის ხიდი (ოთხი ხიდგან), მაგრამ ქვა-დაუყრელი და დაუმიწავი, ასე რომ ხიდზედ მარტო ქვეითა კაცს შეეძლო გასვლა, ცხენიანი წყალში უნდა გასულიყო. ხოლო თუ ვინმე გაჰბედავდა ხიდზედ ცხენით გასვლას, ის დღე დაადგებოდა, როგორიც ხერთვისის მწერალს: ცხენს ფეხი ჩაეჭედა ხესადა-ხის შუა, თავი ვეღარ შეიმაგრა და შიგ წყალში-კი მოსძვრა ტყაპანი. ნახევარი ვერსი ატარა წყალმა და მერმე, რის ვაივაგლახით, ძლივს გამოათრიეს ნაპირას. ასეთი დღე ადგია აქ მომსვლელს უხიდობისა-გამო.

მართალია, წინამძღვარი მონასტრისა, ყველასგან პატივცემული არხიმანდრიტი სიმონი ძრიელა ცდილობს გააკეთოს როგორმე ხიდი, მაგრამ რა ქნას, როდესაც მცირე შემოსავლით დღე-დღიურათ მონასტრის ბერებს და მსახურთ ძლივს ჰკვებავს (მონასტერს ხაზინა არაფერს აძლევს). ამ ბოლო დროს მონასტრის ქონებისა და შემოსავლის გასაძლიერებლად წინამძღვარმა წისქვილი გააკეთა და უნდა იმისი შემოსავლით როგორმე გააკეთოს ხიდი, მაგრამ როდის იქნება, ვინ იცის. დღეობაში მლოცავთა შორის სიმშვიდის დასაცველად ჩვეულებრივ ბარალეთისა და ურაველის ბოქაულები, იგ ზავნებიან ხოლმე, მაგრამ წელს არც ერთი არ იყო. ბარალეთის ბოქაული იმ დღეს თავისს საბოქაულო ნაწილში ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს დაუხვდა და გააცილა იგი ახალქალაქამდის. აქ-კი მთლად მაზრის პოლიცია იყო ამ დღეს შეყრილი, რადგანაც დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მოელოდნენ ქ. გუმრიდგან. მაგრამ რატომ არ იყო ურაველის ბოქაული, ამისი რა მოგახსენოთ, არა ვიცი-რა. ახალქალაქის მაზრიდგან მხოლოდ დილისკისა და ხერთვისის მამასახლისები იყვნენ თავისი ყარაფაფახებით, ახალციხის მაზრის ლეპისის მამასახლისი თავისის მწერლით, ყარაფაფახით და ორი საპოლიციო დარაჯით. ღმერთმა უშველოს ლეპისის მწერალს პეტროს მამიკონიანს, თორემ არ ვიცით, თუ როგორ დაანოკებდნენ საწყალს მლოცველებს ეს დარაჯები. მეტადრე საზღვარი არა ჰქონდა „სტრაჟნიკ“ გიორგი ზაზაძის თავგასულობას) აქვე ახლო სოფლის მცხოვრებია): რომ დაენახვებინა მეზობლებისათვის, აი, შემომხედეთ, რა „ჩინოვნიკი“ ვარო, ხან ვის ზურგზედ აუდიოდა ჟაპაჟუპი იმის მათრახს და ხან ვისზედ. აქ ბრალიანი და უბრალო, დიდი და პატარა აღარ იყო. როდესაც გამოჰფხიზლდა, მხოლოდ მაშინღა შეიტყო თავგასულმა, რომ საპროტოკოლო მხოლოდ თვითონ იყო იმ დღეს. სხვა ფრივ დღეობამ რიგიანად ჩაიარა. ამ ჟამად აქეთ კარგი დარები სდგას, თიბვას მორჩნენ. გამოსავალიც კარგი სჩანს. ეტყობა, შარშანდელმა ყანის მტერმა „გოტენტოტურმა ბაღლინჯომ“ ჩვენზედ ხელი აიღო.

ქართლელი ჯავახეთში
ივერია, 1901 წელი, N183

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com